საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 11 ივლისი. 2017 წ. №137 (8274), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

უსაზღვრეზო საზღვარი!

5 დღემდე არაა გარკვეული, რას მოეწერა ხელი სარკოზი-სააკაშვილ-მედვედევის შეთანხმებისას

12 მიხეილ გიორგაძე: სირცხვილი, რომელსაც საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხაში ყოფნის გამო განვიცდიდით, ჩამოვირეცხეთ!



— ეს განცხადება, საქართველოს კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ გააკეთა. გიორგაძე მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ კრაკოვში, რიგით 41-ე სესიაზე მიღებულ იმ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, გელათის სამონასტრო კომპლექსი იუნესკოს ძირითად ძეგლთა ნუსხაში დარჩა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მომხდარ ფაქტს უპრეცედენტო მოვლენად აფასებს. მიხეილ გიორგაძის განცხადებით, ამ ფაქტმა მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში ძეგლების დაბრუნების ძალიან რთული და გრძელი გზა დაასრულა.

„გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში დარჩენით, ძეგლების იუნესკოს ნუსხაში დაბრუნების ძალიან რთული და გრძელი გზა დასრულდა. ვგულისხმობ იმას, რომ შარშან მცხეთა დავაბრუნეთ ძირითად ნუსხაში და ამით შეიძლება ითქვას სირცხვილი, რომელსაც საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხაში ყოფნის გამო განვიცდიდით, ჩამოვირეცხეთ. ახლა სამივე ძეგლი გვაქვს ძირითად ნუსხაში და ეს არის კიდევ ერთი წარმატება იუნესკოსთან ურთიერთობაში, რასაც ვულოცავ ყველას“, — განაცხადა გიორგაძემ.

S I C 3 ევრორეგიონტი კი არა, მე ამას დავარქვი ევროსიკვდილი

ნათელაშვილის ბოდვას საზღვარი არა აქვს!

ივანიშვილი ინსულტირებული, პარალიზებული და სრულიად ქმედუუნარო, — განაცხადა დღეს გამართულ ბრიფინგზე „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა. მისი განცხადებით, ძალაუფლების გადანაწილებისთვის მასთან პუტინის წარმომადგენლები აწარმოებენ მოლაპარაკებებს. ნათელაშვილის მტკიცებით, ამ მიზანს ემსახურებოდა პუტინის მრჩეველის, მიხეილ შვიდკოის საქართველოში ვიზიტიც.

„ჩვენი ინფორმაციით, ქვეყნის დე ფაქტო მმართველი დიქტატორი ივანიშვილი ინსულტირებული, პარალიზებული და სრულიად ქმედუუნაროა. სადაც ივანიშვილი მკურნალობს, ჩაბრძანდა „გაზპრომის“ მმართველი მილერი, პუტინის სახელით და შეეცადა, გაეგებინებინა მისი გარემოცვისა თუ მისთვის, რომ გადააბაროს ძალაუფლება სხვა ოლიგარქს, არანაკლებ ქურდსა და ყაჩაღს. ამ შემთხვევაში საუბარია კალაძეზე. პროცესს დაემთხვა პუტინის მრჩეველთა მასობრივი შემოსვლა საქართველოში,“ — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ძვირფასო ლეიბორისტებო, თუ კიდევ ხართ შალვას გვერდით, მიუყვანეთ ეს კაცი ფსიქიატრს!

შეხვედრა გადაიდო, რადგან ქართული მხარე თბილისში მოლაპარაკებას აგრძელებს!

ქართული მხარის მოთხოვნით, ვენეციის კომისია საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ხვალ სტრასბურგში დაგეგმილ შეხვედრას ოპოზიციასთან აღარ გამართავს.

ვენეციის კომისიის მდივნის თომას მარკერტის თქმით, შეხვედრის გადადების მიზეზი ქართული მხარის მიერ თბილისში მოლაპარაკებების გაგრძელებაა.

„შეხვედრა გადაიდო, რადგან ქართული მხარე თბილისში მოლაპარაკებას აგრძელებს. ინიციატორები ჩვენ არ ვყოფილვართ. რაც შეეხება ჯანი ბუკიკიოს დასწრების საკითხს, მისი ყოფნა ხვალინდელ შეხვედრაზე არ განიხილებოდა. უცნობია, როდის გაიმართება შემდეგი შეხვედრა. ეს დამოკიდებულია მოლაპარაკებებზე თბილისში. თუ პარტიები მოილაპარაკებენ და გადაწყვეტილებას მიიღებენ, შეუძლიათ სტრასბურგში ჩამოვიდნენ,“ — განაცხადა ვენეციის კომისიის მდივანმა თომას მარკერტიმ.

რუსეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნატოში გაწევრიანების მცდელობით აღშფოთებულნი არიან!

რუსეთი და სამხრეთ ოსეთი აღშფოთებულნი არიან ამიერკავკასიაში არასტაბილური სიტუაციით — აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, რომელიც ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრს დიმიტრი მედოევს შეხვდა.

„ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. იმ სიტუაციაში, როდესაც ამიერკავკასიის რეგიონში არასტაბილურობაა, რომლის პროვოცირება მათ შორის ხდება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მცდელობით. აღნიშნულის მეშვეობით ნატო-ს რეგიონში პოზიციების განმტკიცება სურს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის და, რა თქმა უნდა, ჩვენს აფხაზ მოკავშირეებთან ერთად თანამშრომლობის შეთანხმება.

მივიჩნევთ, რომ ამ ძალისხმევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ჟენევის დისკუსიებია, რომლის ფარგლებში ჩვენ ვმუშაობთ მთავარ ამოცანაზე — ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების დადებაზე“, — განაცხადა ლავროვმა.

შავ ზღვაში უკრაინა-ნატოს ერთობლივი წვრთნები დაიწყო

გუშინ ნატო-უკრაინის ერთობლივი სამხედრო წვრთნები „ზღვის ქარი — 2017“ დაიწყო. სამხედრო სწავლება შავ ზღვაში იმართება. წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად ნატოს შეიარაღებული ძალების კონტიგენტი რამდენიმე დღეა, უკრაინაში იმყოფება.

პრემიერ-მინისტრმა კახეთში რეინოლდ მესნერს უმასპინძლა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კახეთში უმასპინძლა მსოფლიოში ცნობილ ალპინისტსა და მრავალი წიგნის ავტორს რეინოლდ მესნერს, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთის კურორტების პოტენციალს ეცნობა.

გიორგი კვირიკაშვილმა რეინოლდ მესნერს ტურიზმის მიმართულებით არსებულ პოზიტიურ დინამიკაზე მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ გასულ წელს საქართველოს 6 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია. მისი თქმით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია წელსაც გრძელდება.

პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს მთის კურორტების შესაძლებლობებზე და აღნიშნა, რომ მათი განვითარების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოში ცნობილი ისეთი მთამსვლელის რეკომენდაციები, როგორიც რეინოლდ მესნერია. პრემიერი დარწმუნებულია, რომ საქართველოს მთის კურორტებით მესნერის დაინტერესება მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის, როგორც მიმზიდველი ტურისტული მიმართულების ცნობადობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

მსოფლიოში პირველი მთამსვლელი რეინოლდ მესნერი, რომელმაც 1980 წელს ევერესტი ჟანგბადის აპარატის გარეშე დაიპყრო და დალაშქრა თოთხმეტივე 8000-მეტრიანი მწვერვალი, კახეთის გარდა სვანეთს, თუშეთსა და ყაზბეგს ეწვევა.

რეინოლდ მესნერმა ურთულესი ასვლების განხორციელება 13 წლის ასაკიდან დაიწყო. ამ პერიოდში იგი, თავის 11 წლის ძმასთან ერთად, ევროპის საუკეთესო მთამსვლელებში შედიოდა. მესნერი პირველია, რომელმაც მარტომ გადაკვეთა ანტარქტიდა, გრენლანდია და გობის უდაბნო. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი წიგნი, რომლებშიც თავის მოგზაურობასა და თავგადასავლებს აღწერს. იგი ასევე იყო ევროპარლამენტის წევრი.

ზურაბ აბაშიძე არ გამორიცხავს ახალი ბანერების დადგმას...

პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საოკუპაციო ხაზთან ბანერების აღმართვას და ზოგადად იმას, რაც ხდება საოკუპაციო ხაზზე, აქვს ერთერთი მიზანი, რომ აიძულოს ქართული მხარე დაიწყოს საუბარი ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან ე.წ. საზღვრის დემარკაციაზე, რაც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, რომ ეს პროცესი გაგრძელდეს.

„ჩვენ ვერანაირად ვერ დავიწყებთ დე ფაქტო ხელისუფლებებთან ამაზე მოლაპარაკებებს. ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით ჩვენი მხრიდან საერთაშორისო საზოგადოების, დასავლელი პარტნიორების ზეწოლით ეს პროცესი შეჩერდეს, შეწყდეს და დაიწყოს ამ პრობლემების მოგვარება. ამას საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ყოველდღიურ რეჟიმში. ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძალისხმევის 80 პროცენტი ყოველდღიურად ამ უმძიმესი პრობლემის მოგვარებისკენაა მიმართული“, — განაცხადა აბაშიძემ.

ბესელია სასამართლოში დაიკითხება

ე.წ. ფოტოგრაფების საქმეზე დღეს სასამართლოში ეკა ბესელია დაიკითხება. ბესელია ფოტოგრაფ გიორგი აბდალაძის ადვოკატი იყო.

ე.წ.ფოტოგრაფების საქმეზე, რომელიც საქალაქო სასამართლოში იხილება, ბრალდებულია კონტრდაზვერვის ყოფილი ჩინოსანი დავით დევნოზაშვილი და ასევე გლდანის მერვე საპყრობილის ყოფილი ხელმძღვანელი ალექსანდრე მუხაძე. დევნოზაშვილს ბრალი ედება უფლებამოსილების გადამეტებაში ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, ხოლო მუხაძეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში.

„პატრიოტთა ალიანსის“ წევრები დღეს რუს დეპუტატებს შეხვდებიან

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინაშვილის განცხადებით, პარტიის წევრები — ადა მარშანია, გიორგი ლომია და ნატო ჩხეიძე 11 ივლისს რუსეთის ფედერაციის სათათბიროს დეპუტატებთან შეხვედრას გამართავენ. ინაშვილის განცხადებით, შეხვედრის მიზანი რეალური დიალოგის დაწყებაა.

„არაფერია დასამალი იმაში, რომ ჩვენ ვართ ინიციატორი, დაიწყოს პოლიტიკური დიალოგი საქართველოს პარლამენტის წევრებს, ჩვენს ფრაქციასა და რუსეთის დუმის წევრებს შორის. ეს პოლიტიკური დიალოგი ბოლო წლების განმავლობაში არ შემდგარა.

ყველა ადამიანი, ვინც ამბობს, რომ აუცილებელია რაღაც აქციები, საოკუპაციო ზოლთან მისვლა, გვახსოვს რა პიარ-აქციები იგეგმებოდა სააკაშვილის დროს, სწორედ ეს ადამიანები ეწინააღმდეგებიან ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას და არა ჩვენი ინიციატივა, რომელიც არის პოლიტიკური ინიციატივა, რათა რეალურად გადაწყდეს პრობლემები.

ჩვენ არ გვაქვს მოლოდინი, რომ ხვალვე გაერთიანდება საქართველო და ხვალვე დაგვიბრუნდება სოხუმი და ცხინვალი, მაგრამ საუბრის და დიალოგის დაწყებას ალტერნატივა არ აქვს“, — აცხადებს ინაშვილი.

ვენეციის კომისიასთან პოლიტიკური პარტიების შეხვედრა გადაიდო

ვენეციის კომისიასთან ქართული პოლიტიკური პარტიების შეხვედრა, რომელიც 11 ივლისს იყო ჩანიშნული, გადაიდო. კომისიაში ჯერ არ აკონკრეტებენ, თუ როდის გაიმართება შეხვედრა.

ვენეციის კომისიის სამდივნოსთან პოლიტიკური პარტიების შეხვედრა საკონსტიტუციო რეფორმის განხილვის მიზნით დაიგეგმა. კომისიამ გასულ კვირას პროცესში ჩართულ პირებს კონსენსუსისკენ მოუწოდა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი უფრო კომერციული ხდება!..

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ განცხადებით, ახალი კანონპროექტით იცვლება მაუწყებლის მთავარი დანიშნულება — იყოს საზოგადოებრივი და ის უფრო კომერციული ხდება.

მათივე შეფასებით, კითხვის ნიშნებს აჩენს ის გარემოებაც, რატომ დასჭირდა მსგავსი ცვლილებები საზოგადოებრივ მაუწყებელს.

„ძირითადი პრეტენზიები ეხება იმას, რომ აღნიშნული ცვლილებების შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებელი ხდება უფრო გაუმჭვირვალე ორგანიზაცია. ბევრი კითხვა გვაქვს, თუ რისთვის დასჭირდა საზოგადოებრივ მაუწყებელს აღნიშნული ცვლილებები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი კითხვები ეხება რეკლამის და სპონსორობის შესახებ ცვლილებებს, — განაცხადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მედია-პროექტების კოორდინატორმა ნინო რობაქიძემ.

პრეზიდენტი მმართველ გუნდს ეკა მიშველაძის ენა-პირით ჭკუას ასწავლის!

პრეზიდენტის პრესსპიკერის ეკა მიშელაძის განცხადებით, გიორგი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ ორი მოსმენით მიღებული კონსტიტუციის ერთპარტიული პროექტი ნაჩქარევად უნდა შეჩერდეს.

მისივე თქმით, კონსტიტუციაში ფუნდამენტური საკითხების გადახედვა უნდა მოხდეს.

„7 ივლისს, პრეზიდენტის მხრიდან გაკეთებული შეთავაზება, დაწყებულიყო რეალური მოლაპარაკება საკონსტიტუციო თემებზე კონსენსუსის მისაღწევად მმართველი გუნდის მხრიდან უარყოფილი იქნა.„ქართული ოცნების“ განმარტებით, ისინი ყველასთან მზად არიან დიალოგისთვის, ქვეყნის ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტის გარდა. სამწუხაროდ, ამ უარმა კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა, რომ მთელი ეს პროცესი იმთავითვე არა უკეთესი კონსტიტუციის შესაქმნელად, არამედ პიროვნულად პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია იყო.

მმართველი გუნდის მხრიდან ბოლო დროს გაკეთებულმა განცხადებებმა მკაფიოდ აჩვენა, რომ მათი ე.წ მზაობა კონსენსუსის მისაღწევად არაგულწრფელი და მოჩვენებითია“, — განაცხადა მიშველაძემ და დასძინა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი არის ერთადერთი:

„პირველ რიგში, ნაჩქარევად, ორი მოსმენით მიღებული კონსტიტუციის ერთპარტიული პროექტი შეჩერდეს. კონსტიტუციაში მოხდეს ფუნდამენტური საკითხების გახედვა, როგორიცაა: პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, ბონუსის სისტემის გაუქმება, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაზრდა, მოსამართლეების დაშვნის წესი, პრეზიდენტის არჩევის წესი, უშიშროების საბჭოს შენარჩუნების საკითხი.

თუ საპარლამენტო უმრავლესობა ამ ფუნდამენტური საკითხების გადახედვის გარეშე მესამე მოსმენით მაინც მიიღებს არსებულ კანონპროექტს, ეს იქნება არა კონსენსუსური, დაბალი ლეგიტიმაციის მქონე დოკუმენტი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას“, — განაცხადა ეკა მიშველაძემ.

საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პრეზიდენტთან დაგეგმილი შეხვედრა ჩაიშალა

საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტთან დაგეგმილი შეხვედრა ჩაიშალა. პრეზიდენტთან კონსტიტუციის პროექტზე მსჯელობაზე უარი მმართველმა გუნდმა თქვა. „ქართულ ოცნებას“ მიაჩნია, რომ კონსულტაციების ხელახლა დაწყება ამ ეტაპზე არის უადგილო, ვინაიდან ორი მოსმენით უკვე მიღებული კონსტიტუციის ახალი პროექტი და მასში ცვლილებები ველარ შევა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ამბობენ, რომ ხელისუფლება არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს, შესაბამისად მისი თქმით, პრემიერ-მინისტრის მხრიდან საუბარი დიალოგზე აბსურდულია. საპარლამენტო ოპოზიციური პარტიები საკუთარ მოთხოვნებზე საუბრობენ.

„მათ არანაირი შანსი არა აქვთ პროპორციულ სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში, რომ 2020 წლის არჩევნებში დარჩნენ ხელისუფლებაში, ამიტომ მათ არაფერი სხვა არ აინტერესებთ, არანაირი სხვა მოსაზრება, გარდა საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგისა არ ამოძრავებთ კონსტიტუციასთან მიმართებაში,“ — განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

ხელისუფლებას ტყუილის ტირაჟირებაში ადანაშაულებს „ევროპული საქართველოც“.

„ამ ხელისუფლებას ერთადერთი რისი რესურსიც გააჩნია, ეს არის ტყუილის ტირაჟირება. ზოგადად, ისინი ბოლო პერიოდში რასაც მთლიანად ამ პროცესთან მიმართებაში აკეთებენ, ეს არის უტიფრად მოტყუება როგორც პროცესის ყველა მონაწილის ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ჩვენი პრინციპული მოთხოვნაა, რომ პროექტი დაბრუნდეს მეორე მოსმენაზე, სადაც მოხდება ცვლილებების შეტანა,“ — აცხადებს გიორგი ტუღუში.

გიორგი მარგველაშვილს არ უნდა დაეწყო პარალელური პროცესები

პრეზიდენტის ინსტიტუტს, როცა ამის შეთავაზება ჰქონდა, მაშინ უნდა მიეღო მონაწილეობა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში და არ დაეწყო პარალელური პროცესები, რომელმაც ვერანაირ შედეგამდე ვერ მიიყვანა, — განუცხადა ჟურნალისტებს უმრავლესობის წევრმა დავით მათიკაშვილმა. მისი თქმით, მეორე მოსმენით დაბრუნებაზე საუბარი არ არის, რადგან, მესამე მოსმენას გააჩნია თავისი კონკრეტული პროცედურა და შესაძლებელია გარკვეული საკითხების ისე გასწორება, რომ მესამე მოსმენამ ეს სამართლებრივად აიტანოს.

ანზორ საკანდელიძე:

ევრორემონტი კი არა, მე ამას დავარქვი ევროსიკვდილი

ე.წ. დსპ-ს, მდფ-ისა და ე.წ. შპონის მასალებისგან დამზადებულ ავეჯს საქართველოში ბევრად უფრო დიდი ენთუზიაზმით ყიდულობენ, ვიდრე ბუნებრივი ხისგან დამზადებულს. ერთი მხრივ, ამის მიზეზი შედარებით ხელმისაწვდომი ფასებია, მეორე მხრივ - ლამაზი დიზაინი. თუმცა არავის აინტერესებს, რომ ლამაზი დიზაინის მიღმა კანცეროგენური ნივთიერებები იმალება.

კერძოდ, დსპ ჯანმრთელობისთვის მავნე ერთ-ერთი იაფფასიანი მასალაა. ლამინირებული დსპ ნაკლებად მავნეა, ვიდრე-არალამინირებული. დსპ-ს დამზადებისას გამოიყენება კანცეროგენური წებო, რომელიც გამოიყოფა არალამინირებული ადგილებიდან, ანუ გვერდითი წიბოებიდან. ამიტომ აუცილებელია ამ წიბოების დაფარვა ლამინატის ლენტით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰაერში ფორმალდეჰიდის გაფრქვევა მოხდება.

მდფ-ი მიიღება თერმომექანიკის მეშვეობით შეშის ან სხვა ცელულოზის ნედლეულისგან მიღებული ბოჭკოების გამოშრობის შედეგად. ზოგჯერ მდფ-ი დაპრესილი თხილის ნაჭუჭისგანაც მიიღება. მდფ-ი, ასევე, ლამინირებულია, ღებავენ მანქანის საღებავებით, მაგრამ, რადგან მანქანის საღებავები ძალზე ძვირია, ამიტომ უხარისხო საღებავებს იყენებენ მის შესაღებად.

რაც შეეხება ხის შპონს, იგი გარეგნულად ხეს მოგაგონებთ, რადგან ეს არის ხის ფირფიტა, რომელსაც მდფ-ზე აწებებენ.

მთლიანობაში, ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთი მასალა არ არის ჯანმრთელობისთვის იდეალური და ისინი ვერასდროს ჩაანაცვლებენ ბუნებრივ ხის მასალას.

ტექნოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ორგანიზაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ხელმძღვანელი **ანზორ საკანდელიძე** იზიარებს მოსაზრებას, რომ დასახელებული მასალები ხელოვნურია და ძირითადად ისინი დამზადებულია ორგანულ შემკვრელებზე. ორგანული შემკვრელები კი უფრო მეტად წარმოიქმნება ნავთობპროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობიდან.

— ნახერხისგან მზადდება დსპ და შემდეგ მას კრავს ორგანული შემკვრელი. ამდენად, ნახერხი კი არ არის საშიში, არამედ სახიფათოა თავად ეს ორგანული შემკვრელი, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ორგანული შემკვრელი დამზადებულია ორგანული შემკვრელების დამამზადებელი ქარხნის ნარჩენებზე. ორგანულ შემკვრელებს როცა ამზადებენ, მასში იმდენი ტოქსინი და მომწამვლავი ნივთიერებაა, რომ კანალიზაციაში, საქალაქო ქსელებშიც ვერ გაუშვებთ, რადგან მოწამლავს ირგვლივ ყველაფერს. ამიტომ ის ადგილზევე უნდა გაანეიტრალონ. ამ დროს კი ამ ტოქსიკურ ნარჩენებს პირდაპირ ორგანულ შემკვრელებად იყენებენ.

— საიდან შემოდის დსპ-სა და მდფ-ის მასალები?

— თურქეთში ამზადებენ ამ მასალებს და ხელოვნური მასალები ძირითადად იქიდან შემოდის. შემოწმება სჭირდება ყველაფერს და არაფერი რომ არ მოწმდება ამ ქვეყანაში, ეს არის ჩვენი უბედურება. ვერც საბაჟოსა და ვერც მაღაზიებში შესული მასალების შემოწმებას ვერ მივაღწიე. ამდენი წელია, ვამბობ, რომ ყველა საშენი მასალის ეკოლოგიური შემოწმება უნდა მოხდეს, გინდ ავეჯში გამოიყენონ ეს მასალა, გინდ შენობების ასაშენებლად. მთავარი უბედურებაა, რომ ამ მასალებს ადამიანთან აქვთ შეხება. განსაკუთრებით, უბედურებაა, რომ ამ მასალებს ბავშვის საწოლების ასაწყობად იყენებენ. თანაც, მასობრივად ხდება მათი გამოყენება საბავშვო საძინებლებში. პირადად მე შვილიშვილები მყავს და ყველა მათგანს ბუნებრივი ხის მასალის ავეჯი გავუკეთე. არავითარი გადაკრული მასალა არ გამომიყენებია.

— ბუნებრივი ხის მასალის გამოყენება არაფერს ნიშნავს, თუკი მისი დამცავი ლაქი კანცეროგენურია. რუსულისა და გერმანულის გარდა, სხვა ლაქებს ენდობით?

— არაფერს არ უნდა ენდოთ. ლაქ-საღებავების და სხვა მასალების შემოწმება არ ხდება, ფალსიფიცირებაში ყველა ერთმანეთს ეჯიბრება. როგორი უვარგისი პროდუქციაც არ უნდა შემოიტანო, ოღონდ დაბალი ფასი დააწერო, ტაციაობა დაიწყება. მერე იძახიან, ევრორემონტი გავაკეთეო. ევრორემონტი კი არა, მე ამას დავარქვი ევროსიკვდილი. რემონტების დროს ჩვენ თვითონ შეგვაქვს ნელი სიკვდილი სახლებში. გაყალბებაში ისე დაოსტატდნენ და ისე ავიდა ეს საქმე მსოფლიო დონეზე, რომ შეიძლება იყიდო რუსულდამღიანი მასალა, მაგრამ, სინამდვილეში, თურქეთში ან ჩინეთში იყოს დამზადებული. შტრიხკოდებსაც აყალბებენ. მით უმეტეს, ეს ყველაფერი შემოდის საქართველოში თავისივე სერტიფიკატით და ყველა საბუთით, რაც ვითომც აუცილებელია. ყველაზე სანდოდ წინათ რუსეთისა და გერმანიის საღებავები ითვლებოდა. ცხადია, ეს ყველა ლაქ-საღებავს არ ეხება. რაც შედარებით ეკოლოგიურად სუფთაა, ყველაფერი ძვირი ღირს. ჩვენი ხალხი ხშირად იაფფასიან ლამინატს აგებს ბინაში, რომელსაც 10, 12 და 15 ლარად ყიდულობს. ამით ასპროცენტიანი საწამლავი შეაქვთ სახლებში, რადგან კარგი რაც არის, ანუ ბელგიური, ფრანგული, გერმანული ლამინატები, ნახონ, რა ღირს. კვადრატული მეტრი 100 დოლარია. ამ დროს კი ათ ლარად რომ ყიდულობენ, კარგი იქნება?

— ისევ დსპ-სა და მდფ-ს დავუბრუნდეთ. ორგანული შემკვრელი როცა ახსენეთ, ალბათ, იგულისხმეთ ის წებო, რომელიც შეიცავს ეპოქსიდსა და ფორმალდეჰიდს, რომელთა აორთქლებაც საშიშია. რამდენად რეალურია, რომ ლამინატგადაკრული დსპ დაცულია მავნე ნივთიერებისგან?

ქართველებს ბუნებრივი მასალის გამოყენების საშუალება გვაქვს. უცხოელები გაგიჟებულნი არიან იმით, რაც ჩვენთან ხდება. საზღვარგარეთ ნატურალური ხის კარ-ფანჯრები ბრენდად ითვლება. ჩვენ კი ბუნებრივ ხის კარ-ფანჯრებს ვხსნით და ხელოვნურით ვანაცვლებთ.

— ლამინატის გადაკვრა ოდნავ დაიცავს დსპ-ს, რომ იქიდან არ ამოიფრქვას მავნე ნივთიერება. სხვათა შორის, დსპ-ზე მოსაპირკეთებელი საშუალებების გადაკვრისას აუცილებლად სიფრთხილე უნდა დავიცვათ. მექანიკურად არ უნდა დაზიანდეს ეს ფენა, ხოლო, თუ დაზიანდა, უკვე ტოქსიკური ნივთიერებები ამოდის. ამას ხომ სჯობს, სულ არ შევიტანოთ სახლში დსპ-ს მასალები? მით უმეტეს, საბავშვო ავეჯს არ უნდა გავაკაროთ. თანაც, ლამინატსაც გააჩნია, დსპ-ზე დასაკრავად მაღალი ხარისხის ლამინატი უნდა გამოიყენებოდეს.

— ფიქრობთ, რომ მდფ-ი ბევრად უკეთესია დსპ-ს მასალებთან შედარებით, რადგან მომწამვლავ წებოს მაინც არ შეიცავს?

— შეიძლება, მდფ-ი დსპ-სთან შედარებით ოდნავ უკეთესი იყოს, რადგან ნახერხის ნაცვლად თხილის ნაჭუჭით მზადდება. თუ ცხელ რეჟიმს გამოიყენებენ, შეიძლება, უფრო ნაკლები ორგანული შემკვრელიც გამოიყენონ, ვიდრე ამას დსპ-სთან მიმართებით აკეთებენ. თუმცა გამორიცხულია, ორგანული შემკვრელი დსპ-ში საერთოდ არ გამოიყენონ. ზოგადად, ერთ კუბურ მეტრ მასალაში რაც უფრო ნაკლებ ორგანულ შემკვრელს გამოიყენებენ, მით უფრო ნაკლებად ტოქსიკური იქნება.

— ბუნებრივი ხის ავეჯი ძვირია. როგორ გესახებათ მდფ-ისა და დსპ-სგან დამზადებული ავეჯის ჩანაცვლება?

— ქართველებს ბუნებრივი მასალის გამოყენების საშუალება გვაქვს. უცხოელები გაგიჟებულნი არიან იმით, რაც ჩვენთან ხდება. საზღვარგარეთ ნატურალური ხის კარ-ფანჯრები ბრენდად ითვლება. ჩვენ კი ბუნებრივ ხის კარ-ფანჯრებს ვხსნით და ხელოვნურით ვანაცვლებთ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

მუხთარლის გატაცება ვიდეოჩანაწერებში არ ჩანს

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გატაცება ამოღებულ ვიდეოჩანაწერებში არ ჩანს — აცხადებს შს მინისტრი „იმედის კვირა“-ში საუბრისას. გიორგი მღებრიშვილმა აღნიშნულ საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ისაუბრა:

„ამ ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიები გავრცელდა. აბსურდული და დაუჯერებელი ვერსიებიც კი მოვისმინეთ. ამ ვერსიების გაცვლა-გამოცვლაში საზოგადოებას დაავიწყდა ის, რომ ეს არის საკმაოდ სენსიტიური, საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმე და საჭიროებს სახელმწიფოებრივ მიდგომას. ჩატარდა ასობით საგამოძიებო მოქმედება, ამოღებულია ვიდეო მეთვალყურეებიდან ჩანაწერები, ანუ გამოძიება ერთ ადგილზე არ დგას.

ჩვენ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ამოვიღეთ ყველა ვიდეო ჩანაწერი, რომელზეც მიგვითითა მუხთარლის ადვოკატმა, ყველა იმ ლოკაციიდან იქნა ამოღებული ჩანაწერები, ხდება მათი ანალიტიკური დამუშავება. სხვათა შორის ეს ჩანაწერები გადაეცა მის ადვოკატსაც, მაგრამ მას არ მოეწონა, რადგან იქ არ ჩანს გატაცების მომენტი.

სიმართელე გითხრათ, ჩვენ ახლა ხელოვნურად ვერ დავდგამთ გატაცების სცენებს და მისთვის სასურველ სცენას ვერ დავდგამთ. ობიექტურად რაც მოცემულობა გვაქვს, მივყვებით მას, გამოძიება მიმდინარეობს და მინდა ყველას მოვუწოდო, უნდათ თუ არ უნდათ, გამოძიების შედეგებს უნდა დაველოდოთ. ვითომ აღშფოთებულებს და ვითომ გულშემატკივრებს მინდა ვუთხრა, რომ გამოძიება აუცილებლად დასრულდება და დაიდება კონკრეტული დასკვნა“, — განაცხადა მღებრიშვილმა.

სოსო ბარათაშვილი: მივმართავთ პრეზიდენტს, სახალხო დამცველსა და არასამთავრობოებს, გახდეს სასამართლოს მეგობარი!

დემირელის სახელობის კოლეჯის მენეჯერის მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატი სოსო ბარათაშვილი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაწყვეტილებას აფასებს, რომლის თანახმადაც, მუსტაფა ემრე ჩაბუქს უწყებამ ლტოლვილის სტატუსი არ მიანიჭა.

„სამინისტროს არგუმენტი, რომ გაეროს სპეციალური ანგარიშის ავტორმა მოიწონა თურქეთის ციხეებში არსებული ვითარება, ეს ასე არ არის, პირიქით, გაეროს სპეციალური წარმომადგენელი შეშფოთებულია თურქეთში ადამიანის უფლებების დარღვევით“, — განაცხადა სოსო ბარათაშვილმა.

მისივე თქმით, უსაფუძვლოა სამინისტროს არგუმენტი, რომ ვერ მოახდინა იდენტიფიცირება იმ პირების, რომლებისგანაც მუქარა მოდიოდა ჩაბუქის ოჯახის მისამართით.

ბარათაშვილი აცხადებს, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება სრულიად უსუფუძვლოა.

„სახელმწიფომ უნდა გააკეთოს არჩევანი, შეინარჩუნოს ღირსება, თუ იყოს ღირსება აყრილი. გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ და მივმართავთ ყველას, გახდეს სასამართლოს მეგობარი მათ შორის პრეზიდენტს, სახალხო დამცველსა და არასამთავრობოებს“, — აღნიშნა ბარათაშვილმა.

◎ დედაქალაქი

ახალი მაგისტრალი რკინიგზის სანაცვლოდ

თბილისის განაშენიანების გენერალური გეგმა ქალაქში რკინიგზის ხაზის გაუქმებას და დიდუბე-კახეთის გზატკეცილის შემაერთებელი გზის მშენებლობას ითვალისწინებს. დედაქალაქის მერიაში სარკინიგზო საკითხებთან დაკავშირებით დღემდე მსჯელობენ. ტრანსპორტის სფეროს სპეციალისტთა ერთი ნაწილი კი ახალ იდეას სულაც არ იწონებს.



დედაქალაქის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძის განცხადებით, შემოვლითი რკინიგზის პროექტთან დაკავშირებით მუშაობა შეჩერებული არ არის. მუნიციპალიტეტში ფიქრობენ, რომ რკინიგზის გადატანა თბილისის გარეთ ქალაქს განვითარებისთვის უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს.

„მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა უფრო ეფექტური და ალტერნატიული გზების მოძიება, რადგან ის ძველი ვარიანტი არაეფექტური და არამომგებიანი იყო. ამ მომენტისთვის მიმდინარეობს ტექნიკური, ეკონომიკური კვლევა რამდენიმე სცენართან დაკავშირებით. ამ პროცესს ახორციელებს „საქართველოს რკინიგზა“ და როდესაც მას ექნება ამ კვლევის შედეგები, ბუნებრივია, გაასაჯაროებს.

მერიის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არის ძალიან მკაფიო. ჩვენი სურვილია, რკინიგზა გატანილი იქნას თბილისს გარეთ, რადგან ქალაქს მიეცეს უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობა – იქნება ეს სარეკრეაციო სივრცე, ახალი სატრანსპორტო დერეფანი თუ ურბანული განვითარების სხვადასხვა მიმართულება. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა აჩვენებს, არსებული რომელი იქნება ყველაზე უფრო მიზანშეწონილი“, – განაცხადა ლექვინაძემ.

თბილისის განაშენიანების გენგეგმის კოორდინატორის, არქიტექტორ გიორგი აბაშიძის ინფორმაციით, შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, რაც ვაგზლის რკინიგზის სადგურის გაუქმებას გულისხმობს, 80 ჰექტარამდე ტერიტორია გათავისუფლდება. ამ სივრცეში კი სარეკრეაციო ზონის, ახალი მაგისტრალური გზის და მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა მოიაზრება.

„თბილისის განაშენიანების გენერალური გეგმის მიხედვით, თავისუფალ ტერიტორიაზე უპირატესად გამწვანებაა გათვალისწინებული. თუმცა, ტერიტორიის ფუნქციური დატვირთვის მიზნით, საცხოვრებელი და სავაჭრო ზონების მშენებლობაც აუცილებელია. ყოფილი რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ გენგეგმის მიხედვით, დიდუბე-კახეთის გზატკეცილის შემაერთებელი საგზაო მაგისტრალის მშენებლობაა გათვალისწინებული“, – განუცხადა „ფორტუნას“ გიორგი აბაშიძემ.

პროექტის ავტორების მოსაზრებით, ახალი გზა დედაქალაქს საცობებისგან განტვირთავს, მაგისტრალზე განივი გზების მშენებლობა კი ლოტკინისა და ნაძალადევის სხვა უბნებს ქალაქის ქვედა ნაწილთან დააკავშირებს.

თბილისში ახალი მაგისტრალური გზის მშენებლობის მიზნით რკინიგზის გადატანას მოწინააღმდეგეები ჰყავს არასამთავრობო სექტორში.

„ეკოტრანსპორტ ცენტრის“ დირექტორის ვასო ურუშაძის შეფასებით, ახალი გზის მშენებლობა ქალაქში საავტომობილო ნაკადის განტვირთვის თვალსაზრისით დადებითი ეფექტის მომტანი იქნება, თუმცა ქალაქიდან რკინიგზის გადატანა თბილისის ტურისტულ პოტენციალზე უარყოფითად იმოქმედებს.

ბექა დანელია

ქიზიყის ქუჩის რეაბილიტაცია

თბილისის მერი დავით ნარმანია, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსთან გივი კუბლაშვილთან და სამგორის რაიონის გამგებელთან გიორგი ბაგრატიონთან ერთად, ქიზიყის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს გაეცნო.

2,1 კმ-იანი გზის რეაბილიტაციის ფარგლებში, კომპანია „Georgian Water & Power“-მა მიწისქვეშა კომუნიკაციების სამუშაოები დაასრულა, რის შემდეგაც მოეწყო სანიაღვრე ქსელი. ამჟამად იგება გზა და ეწყობა ტროტუარები ბაზალტის ახალი ბორდიურებით.

„ძალიან მნიშვნელოვანი გზის მონაკვეთი კეთდება, სადაც წლების განმავლობაში გაუვალი მდგომარეობა იყო. ამით სარგებლობენ, როგორც აქ მცხოვრებლები, ასევე ის კომპანიები, რომელთა ოფისები და საწყობებიც არის ამ ტერიტორიაზე განლაგებული, შესაბამისად, სამუშაოები ძალიან ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს, რათა დროულად დავასრულოთ და აგვისტოს ბოლომდე გაიხსნას გზაზე მთლიანად მოძრაობა. ამით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი შეემატება ჩვენს ქალაქს,“ – განაცხადა თბილისის მერმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

◎ დაიცავი საკუთარი ქონება!

სავალდებულო დაზღვევა - სავაჭრო ცენტრებისა და სხვა მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელთათვის

ბოლო წლების მანძილზე საქართველოში ხანძარმა არაერთი სავაჭრო ცენტრი და ბაზრობა დააზიანა, რამაც მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები შექმნა და ადამიანთა დიდი ნაწილი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დააყენა. ამ პროცესში ხშირად ისმოდა მოწოდებები, რომ მოვაჭრეებმა დაზღვევის მექანიზმების ათვისება ისწავლონ და ხელისუფლებისგან დახმარების მოთხოვნის ნაცვლად, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ. უნდა ითქვას, რომ ელიავას ბაზრობაზე გაჩენილი ხანძრის დროს დაზარალებულთა ნაწილი დაზღვეული აღმოჩნდა, რამაც მათ ზიანი შეუმსუბუქა. თუმცა დაზღვევა ნებაყოფლობითი გახლდათ და ადამიანს თავად უნდა გადაეწყვიტა შესაძლო ზარალისგან დაზღვევისთვის ყოველთვიურად გაეღო თანხა თუ, უკეთესი პერსპექტივის მოლოდინით, რისკი არ დაეზღვია. დღეს ხელისუფლება აპირებს მოსახლეობაზე ამ მიმართულებით მათი თავისუფალი არჩევანის შეზღუდვით იზრუნოს.

მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელებს მესამე პირთა სასარგებლოდ დაზღვევის ვალდებულება წარმოექმნებათ. მესამე პირთა დაზღვევის უზრუნველყოფა მათ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტით ეკისრებათ, რომელიც პარლამენტში მთავრობის მიერ არის ინიცირებული და მეორე მოსმენით განხილვის ეტაპზეა. პროექტის ავტორი დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურია.

კანონში დაგეგმილი ცვლილებებით,

მთავრობა მიმდინარე წლის ბოლომდე მასობრივი თავშეყრის ობიექტების ნუსხას განსაზღვრავს, ხოლო მათ მფლობელებს, მესამე პირებისთვის წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მიზნით, დაზღვევის ვალდებულება დაეკისრებათ. საუბარია სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე.

მთავრობა განსაზღვრავს ასევე დაზღვევის წესსა და პირობებს. **„ინიციატივის მიზანია საქართველოში ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების შედეგად მიყენებული ზიანისაგან მოსახლეობის დაცვა. მსოფლიოში ფინანსური რისკების მართვის ერთ-ერთ ეფექტურ ინსტრუმენტს დაზღვევა წარმოადგენს, ხოლო სადაზღვევო სფეროს რეფორმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყანაში სოციალური გარანტიების ალტერნატიული და ქმედითი მექანიზმების ჩამოყალიბება. შესაბამისად, სავალდებულო დაზღვევის სახეობა წარმოადგენს საზოგადოებისთვის ალტერნატიული გარანტიებისა და სოციალური უზრუნველყოფის მოქნილ სისტემას“,** – ნათქვამია პროექტის განმარტებით ბარათში.

უფრო მეტად დაა-კონკრეტა ცვლილებების მიზეზი რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა:

„ბოლო პერიოდში მომხდარი რამდენიმე ხანძრის შედეგად, საკმაო ზარალი მიადგა სავაჭრო ცენტრებს, მათ მომხმარებლებს, იქ ფუნქციონირებად მცირე და საშუალო ბიზნესს. ამიტომ შემოგვაქვს ცვლილება: სახელმწიფო შეადგენს ნუსხას და ამ ნუსხაში გათვალისწინებულ ობიექტებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და მათ მფლობელებს ექნებათ სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნა, რათა მესამე პირების მიმართ სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების ნაწილში მიყენებული ზიანი იყოს აუცილებელი წესით დაზღვეული“.

ნინო ევგენიძე

ხანძარი ფოთის სავაჭრო ცენტრში

10 ივლისს გამთენიისას შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ფოთში, სავაჭრო ცენტრში ხანძარი გაჩნდა.

ხანძრის სწრაფი ლიკვიდაციის მიზნით, მოხდა დამატებითი სახანძრო-სამაშველო ჯგუფების მობილიზება ზუგდიდიდან, სენაკიდან, ხობიდან და ფოთის პორტიდან.

ფოთის სავაჭრო ცენტრში გაჩენილ ხანძარს 9 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი აქრობდა.

ხანძრის მასშტაბებიდან გამომდინარე, მეხანძრე-მაშველებმა ცეცხლის ლოკალიზება ორ საათში შეძლეს.

ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებას შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო სამმართველო საქართველოს სსკ-ს 187-ე მუხლით აწარმოებს“, – აცხადებენ შსს-ში.

ფოთის ბაზრობის ერთ-ერთმა დაზარალებულმა თვითმკვლელობა სცადა. 40 წლამდე ქალმა ბასრი საგნით ვენები გადაიჭრა. იგი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ფოთის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ფოთის ბაზრობაზე მომხდარ ხანძართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

ცეცხლი დაახლოებით 2000 კვადრატულ მეტრ ფართობზე იყო გავრცელებული. ადგილზე განთავსებულია 50-მდე მაღაზია და 144-მდე დახლი.

ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠᲐᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ, ᲠᲐᲡ ᲛᲝᲔᲬᲔᲠᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲙᲝᲖᲘ-ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡᲐᲡ

ᲙᲐᲠᲐᲡᲘᲜᲘ ოკუპანტის ენით ლაპარაკს განაგრძობს. ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ბანერის გადმოწევასთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის შეფასება ასეთია: „ხდება ის, რომ საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის უნდა იყოს საზღვარი და ამას აკეთებენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. მათ არაერთხელ მოითხოვეს საზღვრის დემარკაციის საკითხზე მსჯელობა, მაგრამ ქართულ მხარეს ეს არ სურს“.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა დამპყრობი ქვეყნის წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიების გამიჯვნას უხეშად იღებს საკუთარ თავზე. 2015 წელსაც ანალოგიური მოხდა, როცა პუტინის მრჩეველი, კრემლის რუხი კარდინალი ვლადისლავ სურკოვი რაულ ხაჯიმბასთან ერთად ე.წ. ჩვენი საზღვრის კორექტირებას გეგმავდა და აფხაზებს მიმართავდა: „ჩვენს შორის საზღვარი არ უნდა იყოს“. სურკოვი ამას რუსეთსა და აფხაზეთს შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებით ხსნიდა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, სასაზღვრო საკითხების დამოუკიდებელ ექსპერტ **ᲒᲔᲚᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ** მიაჩნია, რომ აბაშიძე-კარასინის ფორმატი პოლიტიკური საკითხების მოგვარებას არ ითვალისწინებს და მის კომპეტენციაში სულაც არ შედის სადემარკაციო ხაზის განსაზღვრა. შესაბამისად, დაუყოვნებლივ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს იმ მოვლენას, რომელიც 2008 წელს მოხდა და მძიმე შედეგით დამთავრდა საქართველოსთვის პასუხისმგებლობის მქონე პირების უპასუხისმგებლობის გამო. უნდა გაირკვეს, სააკაშვილმა რას მოაწერა ხელი სარკოზი-საакაშვილ-მედვედევის შეთანხმებისას.

„ეს არის სადემარკაციო ხაზი, ანუ ცეცხლის შეწყვეტის, კონფლიქტის დასრულების შემდეგ გავლებული სადემარკაციო ხაზი და არა — საზღვარი. ჩვენმა პოლიტიკოსებმა ხმარებიდან უნდა ამოიღონ ეს ტერმინი. სანამ ჩვენ სადემარკაციო ხაზს საზღვარს დავარქმევთ და ვიძახებთ, რომ რუსებმა საზღვარი გამოდმოსწიეს, უფრო და უფრო გამყარდება სასაუბრო ტერმინებში საზღვრის თემატიკა. სად დაისვა მიჯნა, ჩვენ არაფერი ვიცით. ქართულ მხარეს მთელი რიგი მომენტები ხელიდან აქვს გაშვებული. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან და ასეთი საკითხები განხილულ იქნას სახელმწიფოებრივ მოლაპარაკებათა ფორმატში და არამც და არამც კერძო შეხვედრებში.

სიტუაციიდან გამოსავალი არსებობს. საბჭოთა ფედერაციის დაშლის შემდეგ, როცა საქართველო ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ჩვენ განსაკუთრებული ხელშეკრულებები გვქონდა გაფორმებული. ეს ხელშეკრულებები არსებობს. ამიტომ უფრო შორს უნდა გავიხედოთ, რადგან სიბრიყვეს ჩავდივართ ყოველ ნაბიჯზე. ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია კითხვა მამისონის უღელტეხილთან დაკავშირებითაც. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა მიმდინარეობს საქართველოში და ადმინისტრაციული საზღვრების მიჯნები დღემდე გაურკვეველია. როდესაც მიწის პრივატიზაციას ატარებ და კერძო საკუთრებაში გადასცემ მიწას რაიონს, სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის მიჯნები დადგენილი უნდა გქონდეს. ამ მხრივაც არაფერი გაკეთებულა. ჰაერშია ყველაფერი, უპასუხისმგებლობისა და უვიცობის საშინელი დოღია გამართული საქართველოში“, — აცხადებს For.ge-სთან საუბარში გელა ხუციშვილი.

მისივე განმარტებით, 1945 წლის შემდეგ საზღვრების ურღვევობის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც ხელახალ გადასინჯვას არ ექვემდებარება. ეს იყო ომის შემდგომი საზღვრები, მაგრამ მოგვიანებით დამატებითი ოქმი მიიღეს, რომლითაც ერებს თვითგამორკვევის უფლება ენიჭებოდათ. ამ საკითხს ვერც ერთი კონკრეტული ეთნოსი ვერ წამოჭრიდა, თუ ის მთლიანად არ აკონტროლებდა თავის ადმინისტრაციულ ტერიტორიას. ამ დროს კი, სააკაშვილმა კოდორიც და ახალგორიც „გაუპრავა“ აფხაზებსა და ოსებს. თუმცა ამის გამოსწორება კიდევ შეიძლება დიპლომატიური ურთიერთობით რუსეთთან და არაკულუარული საუბრებით.

გელა ხუციშვილის აზრით, ჩვენ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ძველი ხელშეკრულების მიხედვით უნდა დავიწყოთ, რადგან რუსეთი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეა და ის ვალდებულია, ის სამართლებრივი აქტები აღასრულოს, რომელსაც ხელს აწერდა.

„1937 წელს ჩვენ რა ტერიტორიითაც შევედით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, 1991 წელს ზუსტად იმავე ტერიტორიით გამოვედით. არც რუსეთია არხეინად. ტრამპი-პუტინის შეხვედრის შემდეგ კიდევ ბევრი რამ გაირკვევა. თუმცა ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს კონსტიტუციის მეორე თავი, სადაც წერია, რომ საზღვრების ცვალებადობის საკითხი ეხება მხოლოდ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს და სხვას არავის. რაც თურქეთის მონაკვეთზე მოხდა, ეს აბსურდი და თაღლითობაა. შეცდომაშია შეყვანილი პრემიერი. როგორი მიმართულებითაც არ უნდა წასულიყო მდინარე, ან საერთოდაც რომ გამქრალიყო, მიჯნები ისეა გავლებული, რომ იქ საზღვარი ურღვევი უნდა ყოფილიყო“.

არმენოლოგი, პროფესორი **ᲑᲝᲜᲓᲝ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ** For.ge-სთან საუბარში კარასინის განცხადებას საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის სადემარკაციო ხაზის გავლების შესახებ ამორალურსა და სიცრუეზე აგებულს უწოდებს. მისი მოსაზრებით, კარასინი რუსი შოვინისტია. ამიტომაც, საეჭვოა, რამდენად საჭიროა აბაშიძე-კარასინის ფორმატის შენარჩუნება? რას მიაღწიეს ამ შეხვედრებით? მწვანილი გაიტანეს რუსეთის ბაზარზე და მეტი არაფერი?

„კარასინთან შეხვედრები არაფრის მომცემია. რუსი მესაზღვრეები მოიწევენ აქეთ, თორემ ოსებს ვინ რას ეკითხება? საკმარისია, ჩვენ ევროპაში ან ნატოში წარმატებას მივაღწიოთ, მაშინვე გვიხდიან სამაგიეროს. ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორია და ამ დროს რომელი საზღვრის დემარკაციაზეა საუბარი?“ — აინტერესებს ბონდო არველაძეს.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲘᲐᲜ ᲙᲔᲚᲘᲡ?!

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღის წინათ აშშ-ის ელჩი იან კელი თავის განცხადებაში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეს შეეხო და ამ საქმის დეტალური გამოძიების აუცილებლობაზე ისაუბრა.

დიდი დაკვირვება არ უნდა, რომ ამ დრომდე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში სრული დუმილით შეხვდნენ კელის განცხადებას. მაშინ, როდესაც აშშ-ის ელჩის აჩრდილზეც კი უსწრაფესი რეაქცია აქვთ ხოლმე, ამჯერად, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, პოლიტსუბიექტს, ორგანიზაციას კრინტი არ დაუძრავს. რატომ?

არცთუ ძნელი ახსნა არსებობს: ძირითადი მიზეზი გახლავთ ის, რომ დღევანდელი პოლიტიკური ე.წ. ელიტა, ოპოზიციაც და ხელისუფლებაც მიღებული და გამოჩეკილია გამსახურდიას ხელისუფლების სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. დღეს არ არსებობს პოლიტიკური პარტია ან ორგანიზაცია, სადაც არ არიან მოკალათებული სახელმწიფო გადატრიალების იდეოლოგები, მისი მონაწილეები, ან მომხრეები. პუტჩის ირიბი თუ პირდაპირი მონაწილეები ან მათი პირდაპირი ხაზის მემკვიდრეები. განსაკუთრებული სიჭარბით დღეს წარმოდგენილი არიან ფაქტობრივი ხელისუფლების ყველა ვერტიკალზე. შედეგად ხელისუფლებამ ფაქტობრივად დასრულებული საქმე თაროზე შემოდო პრინციპით „აბა ჩემ შვილს ხომ არ დავსჯი?!“.

ახლა ვნახოთ, რატომ დასჭირდა ელჩს და ზოგადად აშშ ადმინისტრაციას ამ თემის გაჟღერება?

როგორც ვიცით, თავის დროზე, ანუ 90-იან წლებში აშშ ადმინისტრაციამ ზვიად გამსახურდიას ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე შეაფასა, როგორც „დინების საწინააღმდეგო ცურვა“. დღეს, ე.წ. ნეოლიბერალებისა და სხვა ძალების მიერ, ფაქტობრივად, აშშ-ის და, ზოგადად, დასავლეთის დისკრედიტაციაც მიმდინარეობს, აშკარად თუ ფარულად, რაც ემსახურება ერთ საქმეს — შეგვაბრუნონ ძველ ბუნაგში, სადაც ვიღაცებს „კეთილი დათვი“ ელოდება. ამ ფონზე ხომ არ არის კელის განცხადება სიტუაციის შემობრუნებისთვის საჭირო აუცილებლობა? შორს ვარ იმ აზრისგან, პოლიტიკაში ვინმე ვინმეს სიყვარულით რამეს აკეთებდეს. თუნდაც ასე იყოს, საწინაღმდეგო რა უნდა გვქონდეს?!

ადვილი გასააზრებელია, ზვიად გამსახურდიას საქმის ობიექტური ძიება და დასრულება რა დიდ გავლენას მოახდენს პოლიტიკური სივრცის გაჯანსაღებაზე. ამიტომაც, კიდევ უფრო გასაგები ხდება ის, რომ ზემონახსენები „პოლიტიკური დუმილი“ სულაც არაა შემთხვევითი. რომ დუმილის ახსნა შეიძლება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხით - ლუსტრაციის შიშით.

თუმცა კელის განცხადებაზე დუმილმა ლუსტრაცია უკვე მოახდინა. დუმილმა თავისით აჩვენა, რა აზრობრივი ჰორიზონტიც აქვს პოლიტიკურ ძალებს. პოლიტიკური ფიგურების რეალური სახე გამოჩნდა.

P. S. ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: საუკუნეების წინათ ბიზანტიის ზესახელმწიფო, იძულებული გახდა დაესაჯა ეგრისის მეფის გუბაზის ბიზანტიელი მკვლელები. ეს პოლიტიკური ნაბიჯი იყო.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲚᲘᲐ,

ისტორიკოსი, ემიგრაციაში იძულებით მყოფი

„ᲘᲕᲔᲠᲘᲝᲜᲘᲡᲒᲐᲜ“: ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲢᲝᲜ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲚᲘᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡᲐ, ᲞᲐᲗᲝᲡᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ. ᲕᲘᲡ, ᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲘᲡ ᲚᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲔᲓᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲗᲐᲕᲔ.

ᲐᲡᲔᲗ ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲖᲛᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲕᲧᲕᲔᲗ — ᲗᲣ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗ-ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲒᲕᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲡ.

ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ Ე.Წ. ᲑᲘᲜᲐᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ აფხაზეთში პასპორტიზაციასთან დაკავშირებით ე.წ საგანგებო სხდომა გასულ დღეებში გაიმართა. დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას მიერ მოწვეულ შეხვედრას ოკუპირებული რეგიონის ყველა რაიონის ე.წ. საპასპორტო განყოფილების წარმომადგენელი ესწრებოდა. ხაჯიმბამ ყველა ე.წ. სამსახურის წარმომადგენელს საგანგებო დავალება მისცა, დააჩქარონ მოსახლეობის ე.წ. პასპორტიზაცია და ბინადრობის მოწმობების გაცემა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 23 თებერვალს აფხაზეთის ე,წ პარლამენტის მიერ მიღებული „კანონით“ „უცხოელთა აფხაზეთის რესპუბლიკაში სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, ბინადრობის უფლება ენიჭებათ იმ პირებს და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე 1991 წლის ჩათვლით დაიბადნენ და აფხაზეთში 1999 წლის 12 ოქტომბრიდან მუდმივად ცხოვრობენ, ხოლო მოქალაქეობის მიღების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პირი სხვა ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობაზე, იტყვის უარს.

ისტორია ბლოკბასტერისთვის:

როგორ დადგა რუსული ქალაქი ფეხზე ქართველი პოლიციელის დასაცავად

უბნის ინსპექტორის ლევან ხუციშვილის ისტორია აუცილებლად დაედება საფუძვლად რომელიმე ბლოკბასტერს. რუსეთის ბრიანსკის ოლქის ქალაქ სელცოში მომუშავე ქართველი პოლიციელი ადგილობრივთათვის დღევანდელობის ნამდვილ გმირად იქცა. იგი არა მარტო კეთილსინდისიერად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, არამედ როგორც შეეძლო, ყოველმხრივ ცდილობდა თანაქალაქელთა ცხოვრებაში მონაწილეობას, ბავშვებისთვის კარატეს წრეც დააარსა და მათთან ერთად ვარჯიშობდა. თუმცა, როგორც რუსეთში იტყვიან, „хорошего понемножку“ – ანუ ყველაფერი კარგი ოდესმე მთავრდება და აი, მარტში ლევან ხუციშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს.

გამოძიების ვერსიის თანახმად, უბნის ქართველი ინსპექტორი ალკოჰოლურ ბიზნესს „კალთას აფარებდა“, ლობირებდა, და ამ გზით 5 წლის განმავლობაში 106 ათასი რუბლი მიიღო. ადგილობრივთა აზრით კი, უკანონო ალკოწერტილებთან ბრძოლისას ლევანმა გავლენიანი პირების ინტერესები დაზიანა – სწორედ მათი, ვინც რეალურად „კრიშავდა“ ამ ბიზნესს.

გამოძიება ძალზე მძიმედ მიმდინარეობდა, რამდენჯერმე აუხსნელი მიზეზებით დაიკარგა მტკიცებულებათა მთელი ბაზა. ლევანის დედამ სასამართლო პროცესის დაწყებამდე ვერ მიაღწია – გულმა უმტყუნა.

ასეა თუ ისე, სასამართლომ ლევან ხუციშვილს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 5,5 წლის გატარება მიუსაჯა.

და ამ მომენტიდან სელცოში დღემდე არნახული მოვლენები დაიწყო: ქართველი პოლიციელის მხარდასაჭერად მოსახლეობის მასობრივი საპროტესტო აქციების ტალღა აგორდა.

ჯერ კიდევ სასამართლოს შენობასთან პროცესის დღეს ლევანს 200-მდე ადგილობრივი ელოდა. განაჩენის გამოცხადების შემდეგ შეკრებილებმა ემოციურად გამოხატეს აღშფოთება და გაისმა ბრალდებები ხელისუფლების მისამართით.

„ლევანი თავისი საქციელით, საკუთარი საქმიანობით პოლიციის პრესტიჟს წევდა და მისაბაძი იყო ჩვენი შვილებისთვის, რომელთაც პოლიციელობა სურდათ. ახლა ბავშვებს ყოველგვარი მოტივაცია გაუქრათ. რატომ უნდა უნდოდეთ ცხოვრება ქვეყანაში, სადაც კანონი არ კანონობს, გმირებს სჯიან და სამართალს ვერ იპოვი?!“;

„სანამ ლევანს დააკავებდნენ, მე და ჩემი შვილი ქუჩაში შევხვდით.ბავშვი სკოლიდან მომყავდა. ხელიდან გამისხლტა, ლევანს მივარდა ყვირილით: „რომ შეგპირდი, ორიანს გამოვასწორებდი, გამოვასწორეო!„...“;

„თუ კი ქალაქელებს რაიმე ერთად გაგვიკეთებია, მხოლოდ ლევანის დამსახურებაა – ის იყო ჩვენი გმირიც და მოტივატორიც. სასამართლო პროცესების დღეებშიც კი იმ ორ საათს, რომელიც თავისუფალი რჩებოდა, ჩვენ გვახარჯავდა – ოღონდ ბავშვებს ვარჯიში არ შეწყვიტათ“;

„სელცოს ისტორიაში ჯერ არასდროს ყოფილა, ერთი ადამიანის მხარდასაჭერად მთელი ქალაქი გაერთიანებულიყოს“ – აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

ამას კიდევ არაერთი საპროტესტო აქცია მოჰყვა.

ლევანის მხარდამჭერებმა პრეზიდენტ პუტინს მიმართვა გაუგზავნეს. მან იმოქმედა თუ სელცოსთვის დღემდე არნახულმა მასობრივმა პროტესტმა – უცნობია, თუმცა ახლახან ლევანს პატიმრობის ვადა 3,5 წლამდე შეუმცირეს, მკაცრი რეჟიმი კი საერთოთი შეუცვალეს. ეს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოს კოლეგიამ მიიღო.

რა თქმა უნდა, ეს განაჩენიც უსამართლოა და ლევანის თანაქალაქელებს ვერ დააკმაყოფილებს. ამდენად, ისინი ბრძოლის გაგრძელებას აპირებენ.

გიორგი კახეთელიძე
საინფ. სააგენტო „აქცენტი“

◎ ნაკვერცხლიანი ენები

ყიამყრალი მოხუცი მათემატიკოს-„პუბლიცისტი“ გაიშიფრა!

ღრმად პატივცემულო კოლეგებო! თქვენმა გაზეთმა რამდენჯერმე დაუთმო თავისი ფურცლები მათემატიკის აკადემიური ე.წ. დოქტორის „რუსეთის სიძულვილით დასნეულებული“ ირაკლი ბოკუჩავას ბოღმა-ცინიზმითა და მოხულიგნო-ბილწსიტყვაობით სავსე წერილებს. თქვენ იგი „პუბლიცისტადაც“ მონათლეთ, როცა მისი წერილი დაანონსეთ და 29 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა დავით მხეიძისადმი საპასუხო წერილი, რომელშიც ჩემზეც ამბობს: „ბატონ უშანგის შეუძლია წინამდებარე სტატია თავის თავზეც მიიღოს“. ბატონ დავითს (რადგან „გამორჩეულია თავხედობით და უზრდელობით“-ო) „რეგვენთუხუცესს“ უწოდებს. მე ალბათ „რეგვენთუხუცესის მოადგილე“ ვარ!

ჩემთვის, პირადად, უხერხულია ბოღმა-ცინიზმით, ბილწსიტყვაობით სავსე და ამავე დროს გამომწვევად თავხედ კაცს ვუწოდო „პუბლიცისტი“! კი, ბატონო, აქვს თავისი პოზიცია, მაგრამ ნუთუ არ შეეძლო „აკადემიურ დოქტორს“ ცოტა „აკადემიურ სტილში“ გამოეთქვა თავისი აზრები? ჩემდამი საპასუხო წერილშიც (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 აპრილი) ასეთი რამ იკადრა: **„ამათ (ე.ი. „რუსოფილებს“, – მე და დანარჩენებს) რუსული სკორეც ნამცხვრად ეჩვენებათ“...**

დავით მხეიძისადმი საპასუხო წერილში მთლად დაუკრეფავში გადავიდა: **„რეგვენ, რუსეთის უკანალში მოკალათებულ რუსეთუმეებს“... „ისხედით მაგ უკანალში, ნუ გამოყოფთ თავებს მალ-მალე და ნუ ამყრალებთ ქვეყანას თქვენი მყრალი აზრებით“** (ეს ნათქვამები არ ამყრალებს ქვეყანას?!).

პატივცემულო კოლეგებო! მე ჭკუას არ გასწავლით, მაგრამ ამ ყიამყრალისთვის თქვენ უნდა გესწავლებინათ ჭკუა და **ეს ფრაზები ამოგეღოთ!** თქვენს გაზეთს ნუ დაამსგავსებთ ტელევიზიების იაფფასიან შოუებს, სადაც ბილწსიტყვაობენ და ხალხის ფართო მასებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რყვნიან.

ახლა მთავარი: საიდან გავიგე, რომ თქვენგან ნაკურთხი „პუბლიცისტი“ მოხუცია? თქვენს გაზეთში 8 ივნისს გამოქვეყნებულ ჩემს წერილზე გამომეხმაურა (ტელეფონით) ერთი დოქტორი (მის ვინაობას არ ვამხელ, იგი თქვენს გაზეთშიც აქვეყნებს საინტერესო წერილებს) და დაახლოებით ასეთი რამ მითხრა: 75 წლის კაცი ვარ, ირაკლი ბოკუჩავა ჩემი თანაკლასელია, სულ ასეთი ყბედი, ჩიტირეკია და ქარიხვეტია იყო (!) სულ მას ეძახოდნენ დასავლეთის ქვეყნების (განსაკუთრებით, ამერიკის) საელჩოებში, დასავლეთის ემისრების კონფერენციებზეო და ა.შ. სადოქტოროც არა აქვს დაცული და „დოქტორის“ ხელმოწერით „მარიაჟობსო“!

ახლა ჩემთვის გასაგები გახდა, ბოკუჩავამ დავით მხეიძისადმი (აგრეთვე ჩემდამი და სხვა „რუსოფილებისადმი“) საპასუხო წერილი რატომ დაასათაურა უცნაური სათაურით: **„შტირლიცამდე იმდენი აკლიათ, რა მანძილიცაა მზემდე! ...“ კი, მაგრამ რა შუაშია „შტირლიცი“? ვინ მიისწრაფვის „შტირლიცამდე“? ვინ და– თვითონ!** ხომ არის ნათქვამი: „მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო“! ჩვენ გვეძახის „დაქირავებულ აგენტებს“, ჩვენ გვეძახის „პატრონისაგან“ ფულით დაფინანსებულებს და თურმე თვითონ ყოფილა დაქირავებული აგენტი! **აბა,რატომ დაძვრებოდა საელჩოებში და წარამარა უძახოდნენ?!** თავხედი და ყოყლოჩინა მოხუციც ამიტომაა, – ზურგს უმაგრებს უხვად ბოძებული ფულები! (ნამდვილი დემაგოგიც რომ არის, ჩემს წერილში დავამტკიცე!)

სხვათა შორის, მის არსებაში ქვეცნობიერად დალექილი ერთი ფსიქოლოგიური ნიუანსი ჩემდამი საპასუხო წერილშიც გაეპარა, – ცილი დამწამა: „მე სოროსელად, ლგბტ თემის ლამის თავკაცად და ათას სხვა უბედურების მეთაურად გამოვყავარ“-ო არადა, მე მხოლოდ ეს დავწერე: არ ვიცი, თქვენ მათთან რა გაკავშირებთ“-მეთქი! **„მოხუც მელას“ თურმე აქაც ელანდებოდა და ესიზმრებოდა“ მასონ-ლიბერასტების „თავკაცობა“ და „მეთაურობა“! ასე, რომ ყიამყრალი მოხუცი „მათემატიკოს-პუბლიცისტი“, აქაც გაიშიფრა! – არა მარტო ამერიკის აგენტი, არამედ სოროსელ-მასონ-ლიბერასტიც ყოფილა!** (თანაც უკვირს: ჩემთან ერთად „ამერიკას“ რატომ ახსენებთო“.)

„,რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“

უშანგი ჯანგირაშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი,
ქ. ბორჯომი.

P.S. **ბატონ დავით მხეიძეს კი ვთხოვ, შხამიანი მორიელი მდინარის მეორე ნაპირზე კი არ გადაიყვანოს, სათანადო საპასუხო წერილით „ჩააყურყუმელაოს“!**

უ. ჯ.

ზურაბ პატარაძემ ოქროს მედალოსნები დააჯილდოვა

გუშინ აჭარაში 2015-2016 სასწავლო წლის მედალოსნების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ზურაბ პატარაძემ მედალოსნებს სკოლის საუკეთესო შედეგით დამთავრება მიულოცა, წინსვლა და წარმატებები უსურვა და ოქროს მედლებით დააჯილდოვა.

ღონისძიებაზე წარჩინებულ მოსწავლეებს ოქროს და ვერცხლის მედლები ასევე აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ინგა შამილიშვილმა და უმაღლესი საბჭოს წევრმა ვლადიმერ მგალობლიშვილმა გადასცეს.

ოქროს მედლის მფლობელი 166 კურსდამთავრებული, ხოლო ვერცხლის მედლის კი – 92 კურსდამთავრებული გახდა. მედალოსან კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები ეროვნული სასწავლო გეგმით რეგულირდება.

პროექტს „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლებით დაჯილდოების ქვეპროგრამა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს და მისი მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებულ მოსწავლეთა წარმოჩენა.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

1942 წლის გაზაფხულისთვის ინგლისელები გვპირდებიან მოამარაგონ სპარსეთის რკინიგზა ახალი მოძრავი საშუალებებით და გაზარდონ მისი გამტარუნარიანობა. კიდევ რას? – იმას –„იმედი გვაქვს, გავზარდოთ ჩვენი არმიები შუა აღმოსავლეთში სამ მეოთხედ მილიონამდე 1942 წლის ზაფხულისათვის“. ეს ნიშნავს, რომ სამხედრო დახმარება ინგლისის მხრიდან არ იქნება 1942 წლის გაზაფხულამდე. ეს დახმარება კი მეტად საჭიროა. 1941 წლის 13 სექტემბერს სტალინი უგზავნის თავის მორიგ წერილს ბრიტანეთის პრემიერს:

„ჩემს უკანასკნელ გზავნილში მე გადმოვეცი სსრ კავშირის მთავრობის აზრი მეორე ფრონტის გახსნის შესახებ, როგორც ჩვენი საერთო საქმის გაუმჯობესების ძირითადი საშუალება. თქვენი გზავნილის პასუხად, სადაც თქვენ კვლავ ხაზგასმით აღნიშნავთ ამ მომენტში მეორე ფრონტის შექმნის შეუძლებლობას. მე შემიძლია მხოლოდ გავიმეორო, რომ მეორე ფრონტის უქონლობა ასხამს წყალს ჩვენი საერთო მტრების წისქვილზე. ეჭვი არ მეპარება, რომ ინგლისის მთავრობას სურს საბჭოთა კავშირის გამარჯვება და ეძებს გზებს ამ მიზნის მისაღწევად. თუ დასავლეთში ამ მომენტში მეორე ფრონტის გახსნა, ინგლისის მთავრობის აზრით, წარმოგიდგენიათ შეუძლებლად, მაშინ, იქნებ, გამოგვენახა საბჭოთა კავშირისათვის აქტიური სამხედრო დახმარების სხვა საშუალება საერთო მტრის წინააღმდეგ. მიმაჩნია, რომ ინგლისს შეეძლო რისკის გარეშე გადმოესხა 25-30 დივიზია არხანგელსკში ან გადაეყვანა ისინი ირანის გავლით სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში სამხედრო თანამშრომლობისათვის საბჭოთა ჯარებთან სსრ კავშირის ტერიტორიაზე იმის მაგალითად, რასაც ადგილი ჰქონდა შარშან საფრანგეთში. ეს იქნებოდა დიდი დახმარება. მიმაჩნია, რომ ასეთი დახმარება იქნებოდა სერიოზული დარტყმა ჰიტლერული აგრესიისათვის“.

ისტორიული მაგალითი, რომელიც სტალინს მოჰყავს, ესაა ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის მონაწილეობა საფრანგეთში პირველ მსოფლიოში ომში. 1941 წლის 15 სექტემბერს ივან მაისკი მოსკოვში გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნავს, რომ ჩერჩილი „პრინციპულად თანახმაა“ გაგზავნოს ჯარები რუსეთში, და ეს ინგლისელებისთვის ღირსების საქმედ მიაჩნია. მაგრამ მან ეს შტაბთან ერთად უნდა განიხილოს. ჯერჯერობით არაა ზუსტი პასუხი შეკითხვაზე, თუ როდის გამოუცხადებს ინგლისი ომს ფინეთს. ნუთუ ბრიტანეთმა გაიხსენა თავისი სახელოვანი ტრადიციები, ჩერჩილში კი გაიღვიძა სინდისმა? როგორ გეკადრებათ! გავა სულ რაღაც ოთხი დღე, და უკვე 1941 წლის 19 სექტემბერს მაისკი იდენთან საუბარში ლაპარაკობს საბჭოთა მხარის კიდევ ერთ დიდ გაოცებაზე. სტალინმა კონკრეტულად შესთავაზა გაეგზავნათ 25 ინგლისური დივიზია რუსეთში? რა იყო პასუხი? პასუხად ჩერჩილი... კვლავ იწყებს ტუტუცობას, ესე იგი მინდორზე კვლავ გამოდის ლონდონის „დინამო“. პრემიერის გზავნილში, რომელიც მიაქვთ სტალინთან მოსკოვში ბრიტანეთის მისიის წევრებს, ერთი სიტყვაც არაა სსრ კავშირის ხელმძღვანელის წინადადების შესახებ. ამის შესახებ ლაპარაკობს კიდეც ჩვენი ქვეყნის ელჩი:

„ამ დროს რას ვნახულობთ ჩერჩილის უკანასკნელ პასუხში? პრემიერი ჯერ ლაპარაკობს ნორვეგიაზე და ამ ოპერაციას ამჟამად მიიჩნევს შეუძლებლად ტონაჟის უკმარისობის გამო. შემდეგ ის გადადის თურქეთზე და გამოთქვამს იმედს, რომ იქნებ, მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარებისა და მომარაგების დაპირება უბიძგებს თურქეთს მოკავშირეების ბანაკისაკენ. შემდეგ კი ბოლოს წარმოთქვამს გაურკვეველ ფრაზას იმის შესახებ, რომ მზადაა შეისწავლოს სსრ კავშირისთვის სასარგებლო დახმარების ყოველგვარი სხვა ფორმები, მაგრამ ამ დროს არც კი ახსენებს სავსებით რეალურ და პრაქტიკულ წინადადებას, რომელიც მას სტალინმა შესთავაზა. როგორ გავიგოთ ეს? უნებლიეთ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩერჩილს სურს როგორმე გვერდი აუაროს და გაყინოს აღნიშნული წინადადება. არადა, ამა თუ იმ პასუხზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. და მე ძალიან ვთხოვე იდენს გადასცეს პრემიერს, რომ საბჭოთა მთავრობამ უნდა იცოდეს, თუ, კერძოდ, რას ფიქრობს ჩერჩილი იმ კონკრეტულ გეგმაზე, რომელზეც საუბარია სტალინის უკანასკნელ გზავნილში“.

1941 წლის 21 სექტემბერს ჩერჩილი უგზავნის მორიგ წერილს სტალინს: „გიგზავნით გულწრფელ სურვილს იმის შესახებ, რომ რუსულმა არმიებმა მიაღწიონ წარმატებებს ნაცისტური ტირანების განადგურებაში. მენდეთ, გულწრფელად თქვენი უინსტონ ჩერჩილი“. უნდა აღვნიშნო – თუ სტალინს ნამდვილად სჯეროდა ჩერჩილისა, უკვე მეორე მსოფლიო ომის ბოლოსთვის ჩვენი ქვეყანა ნამდვილად აღარ იქნებოდა მსოფლიო რუკაზე. იმიტომ, რომ კონკრეტულ შეკითხვებზე დახმარების შესახებ ჩერჩილი აგზავნის მგზნებარე მისალმებებს ჯარების ნაცვლად...

1941 წლის 29 სექტემბრის – 1 ოქტომბრის განმავლობაში მიმდინარეობს სამი სახელმწიფოს (სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების) მოსკოვის კონფერენცია. ინგლისს წარმოადგენს ლორდი ბივერბრუკი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ხელმძღვანელია ავერელ ჰარიმანი. ამ კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი საბჭოთა კავშირთან აფორმებენ იმას, რაც დღეს დასავლეთის მხრიდან ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით არის ბრალდებისა და სპეკულაციების საგანი. დელეგაციების მეთაურებმა ხელი მოაწერეს საიდუმლო ოქმს, რომელშიც საუბარი იყო საბჭოთა კავშირისთვის სამხედრო მიწოდებების ვადებსა და ფორმებზე.

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა მოსკოვის კონფერენციის საიდუმლო ოქმი

1941 წლის 1 ოქტომბერი

„სამი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც შეიკრიბა მოსკოვში 1941 წლის 29 სექტემბერს და მუშაობდა 1 ოქტომბრამდე, იმ განცხადებების საფუძველზე, რომლებიც გააკეთეს აღნიშნულმა წარმომადგენლებმა, და წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, მივიდა ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე საბჭოთა კავშირის იმ მომარაგების შესახებ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, რაც ნებადართული იქნება დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო ცენტრებში 1941 წლის ოქტომბრიდან 1942 წლის ივლისის ბოლომდე. დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები გაუწევენ დახმარებას სსრ კავშირს მასალების ტრანსპორტირებაში და მათს მიწოდებაში. მომარაგების საგნების სია თან ახლავს“.

რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი – ესაა სამხედრო მიწოდებათა დაწყების ვადები: 1941 წლის ოქტომბერი. არა ივნისი, არა ივლისი, არამედ სწორედ ოქტომბერი! და აი უკვე 1941 წლის 3 ოქტომბერს სტალინი სწერს ჩერჩილს:

„ვერ დაგიმალავთ, რომ სამხედრო მომარაგების ჩვენი ამჟამინდელი მოთხოვნილებანი მთელი რიგი არახელსაყრელი ვითარებების გამო ჩვენს ფრონტზე და, რაც გამოწვეულია საწარმოთა ახალი ჯგუფის ამ ევაკუაციით, არ ამოიწურება კონფერენციაზე შეთანხმებული გადაწყვეტილებებით, თუ აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ მთელი რიგი საკითხები გადაიდო ლონდონსა და ვაშინგტონში საბოლოო განხილვამდე და გადაწყვეტილებამდე, თუმცა მოსკოვის კონფერენციის მიერ განხორციელებული მუშაობა ვრცელია და მნიშვნელოვანი. იმედი მაქვს, რომ ბრიტანეთისა და ამერიკის მთავრობები გააკეთებენ ყოველივე შესაძლებელს, რათა სამომავლოდ გავზარდოთ თვიური კვოტები, აგრეთვე, რათა უკვე ახლა უმცირესი შესაძლებლობის დროს დავაჩქაროთ განსაზღვრული მიწოდებები, ვინაიდან ომისწინა თვეებში ჰიტლერელები შეეცდებიან გამოიყენონ ყველაფერი სსრ კავშირზე მაქსიმალური ზემოქმედებისათვის“.

1941 წლის 6 ოქტომბერს ჩერჩილი აგზავნის პასუხს: „განზრახული გვაქვს უზრუნველვყოთ უწყვეტელი ციკლი კონვოებისა, რომლებიც გაიგზავნება ათი დღის შუალედებით. შემდეგი ტვირთები უკვე გზაშია და ასტრახანში ჩამოვა 12 ოქტომბერს: 20 მძიმე ტანკი, 193 გამანადგურებელი (წინასაოქტომბრო კვოტები)“.

კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ჩერჩილის გზავნილის ეს ფრაგმენტი. როდესაც კვლავ დადგება საკითხი ისტორიის ფალსიფიკატორების შესახებ, როდესაც კვლავ დაიწყება საუბარი საბჭოთა კავშირისათვის ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების კოლოსალური, სწრაფი და ასეთი თავისდროული დახმარების შესახებ, რომ ეს დახმარება მოვიდა მხოლოდ 1941 წლის 12 ოქტომბერს. „ოქტომბრამდელი“ დახმარება, ადრე დაპირებული, მოვიდა მხოლოდ ოქტომბერში. და როდესაც „ბარბაროსას“ გეგმის მიხედვით გერმანელებს უნდა დაემთავრებინათ ომი სამ-ოთხ თვეში“.

ვითვლით – ივლისის ბოლო პლუს ოთხი თვე. 1941 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის, გერმანელთა გეგმების მიხედვით, ომი უკვე უნდა დამთავრებულიყო. და მართლაც – 1941 წლის 30 სექტემბერს ჰიტლერმა დაიწყო მოსკოვის აღების ოპერაცია „ტაიფუნი“. 1941 წლის ოქტომბერი ჩვენი ქვეყნის უდიდესი დაძაბულობის თვეა. ოქტომბერში გერმანელები დედაქალაქის გარეუბანთან არიან – ხედავთ, ყველაფერი გეგმის მიხედვითაა. აი ჩვენმა ბრიტანელმა მეგობრებმა მოგვაწოდეს საბრძოლო ტექნიკა? 1941 წლის 12 ოქტომბერი, არხანგელსკში. როდესაც ეს ყოველივე იყო მოსკოვთან? ახლა თქვენ გესმით, თუ რატომ ჭიმავდნენ ინგლისელები რეზინას და თამაშობდნენ „დინამოს“, საბოტაჟს უწევდნენ მოწოდებას და არ უწევდნენ დახმარებას სტალინს? ისინი ზუსტ ორიენტირებას ახდენდნენ „ბარბაროსას“ გეგმაზე...

დაბოლოს, სასიამოვნოდ – კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტი. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ იწყებოდა „უანგარო“ დახმარება ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან.

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პირველი მოადგილის ა.ი.ვიშინსკის დეპეშა ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საქმეებში დროებით რწმუნებულს ა.ა. გრომიკოს.

1941 წლის 9 ოქტომბერი

გადაეცით მორგენტაუს, რომ ჩვენ თანახმა ვართ, გავიტანოთ უახლოეს პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში 30 ტონა საბჭოთა ოქრო შეიარაღებისა და თქვენთვის საჭირო საქონლის გამოგზავნილისათვის. ჩვენ გვინდა ზუსტად ვიცოდეთ, თუ ამერიკის მთავრობა კონკრეტულად რა შეიარაღებისა და რა საჭირო საქონლის მოწოდებისთვისაა მზად. იქონიეთ მხედველობაში და განუცხადეთ მორგენტაუს, რომ ჩვენთვის უკიდურესად საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ 10 ათასი 1,5-დან 3 ტონამდე ჩვეულებრივი სატვირთო ავტომანქანა. ოქროს ავანსის გაცემის ვადა 2-3 თვეში ჩვენ ხელს გვაძლევს, ინფორმაცია მიაწოდეთ ლუკაშევს. ა.ვიშინსკი“.

წერტილი რომ დავუსვათ ვადებისა და „უანგარო“ დახმარების ოდენობას, მოვიყვან ორ დამოწმებას. აი რას წერს ლენდ-ლიზის ერთ-ერთი ორგანიზატორი ამერიკის მხრიდან ედვარდ სტეტინიუსი, რომელიც გვიჩვენებს კიდევ უფრო გვიანდელ, ვიდრე ამას ინგლისელები აკეთებდნენ, სსრ კავშირის სამხედრო ტვირთების რეალურად მიღების ვადებს:

„რუსები ყიდულობდნენ საავიაციო ბენზინს, ტოლუოლს, ჩარხებს და მოწყობილობას, აგრეთვე სატელეფონო მავთულს, ყელიან ფეხსაცმელებს, ქსოვილებსა და ბევრ სხვა რამეს. მათ ასევე უნდოდათ თვითმფრინავები, ტანკები და ტანკსაწინააღმდეგო იარაღი. ნოემბრის ბოლოსთვის ჩვენ შევძელით გაგვეგზავნა რუსეთში სულ რაღაც 79 მსუბუქი ტანკი, 59 გამანადგურებელი პი-40 (უმეტესი ნაწილი – ინგლისური, დაკვეთის ხარჯზე) და დაახლოებით ათასი სატვირთო მანქანა, რომლებიც რუსებს ძალიან სჭირდებოდათ. ჩვენ ძალიან ცოტა გვქონდა ზედმეტი ტანკები და თვითმფრინავები, ხოლო საზენიტო იარაღის გატანის ნებას ჩვენ თავს ვერ მივცემდით“.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-136

ტრამპლინი ამბიციური მიზნებისთვის?

არც ბიძინა და ბერა ივანიშვილები არ მივიდნენ კახა კალაძის წარდგენაზე...

„სახალხო ფეხბურთელმა“, შეთავსებით კი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ (რომელიც ვიცე-პრემიერიც არის და მმართველი „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანიც ერთდროულად), ახლახან თავისი ხუთი წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა, შემდეგ კი თანამდებობებიდან გადადგა, რათა ბრძოლა დაიწყოს თბილისის მერის პოსტის დასაუფლებლად. მმართველი პარტიის კანდიდატის ოფიციალური წარდგენა გასულ კვირას მოხდა, თუმცა ამ უალტერნატივო გადაწყვეტილებაზე დიდი ხანია, ლაპარაკობდნენ“ — ამის სესახებ აზერბაიჯანულ გამოცემა „Каспій“-ს მიერ გამოქვეყნებულ მასალაშია ნათქვამი, რომლის ქართულენოვან ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

„ჩვენ ყოველთვის ვაღწევდით მიზნებს, რადგან ვიცოდით, თუ როგორ გაგვეკეთებინა ის საქმე, რასაც ხელს ვკიდებდით. და დღეს ჩვენ ყველა ერთად ვართ, ვინც თვლის, რომ თბილისს საფუძვლიანი ცვლილებები სჭირდება“ — ეს სიტყვები ჩვენი მეზობელი ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა ადამიანმა დედაქალაქის მერის თანამდებობაზე „ქართული ოცნების“ კანდიდატის ოფიციალური წარდგენის დროს განაცხადა. მასთან ერთად იყვნენ მმართველი პარტიის თითქმის ყველა ცნობილი წარმომადგენელი, გვერდით კი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ედგა. და ეს „საფუძვლიანი ცვლილება“ შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

ადრე ისე ხდებოდა, რომ პარტიის ყველა საკვანძო მოთამაშეს საქვეყნოდ მხარს უჭერდა და წარადგენდა ხოლმე თვით ბიძინა ივანიშვილი — „ქართული ოცნების“ დამაარსებელი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი... და „ბედნიერი ბავშვობისთვის“ ყველა მადლობას სწორედ მას უხდიდა. მაგრამ საოცრება მოხდა: ბიძინა ივანიშვილი კახა კალაძის წარდგენაზე არ მივიდა. პრეზენტაციას ასევე არ დასწრებია მილიარდერის შვილიც — მუსიკოსი ბერა, რომელიც ადრე ხშირად ტრიალებდა ვიცე-პრემიერის კამპანიაში შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიებების დროს. უფრო მეტიც — ქვეყნის ჩრდილოვანი ხელმძღვანელის ოჯახიდან კახა კალაძის მისამართით არანაირი მხარდამჭერი სიტყვა არ თქმულა სოციალურ ქსელებშიც კი. არადა, ოჯახი ქსელების აქტიურ მომხმარებელად ითვლება.

რა თქმა უნდა, შეიძლება ვილაპარაკოთ მმართველ გუნდში არსებულ რაღაც შიდა დაპირისპირებებზე, მაგრამ ეს ასე არ არის, მით უმეტეს, რომ კახა კალაძე, უეჭველია, „ქართული ოცნების ყველაზე ძლიერ და ქარიზმატულ კანდიდატად ითვლება. ექსპერტების აზრით, კახა კალაძეს, ამბიციური მიზნების მქონე პოლიტიკოსს, განზრახული აქვს თბილისის მერის პოსტი სამომავლო კარიერისთვის ტრამპლინად გამოიყენოს. იმ დროს, როცა აშკარად არაა გამოხატული ბიძინა ივანიშვილის მფარველობა მის მიმართ, ასეთი ნაბიჯი საკმაოდ მოხერხებულ ტაქტიკურ სვლას წარმოადგენს, ანუ თუ მოულოდნელად „ქართული ოცნების“ კანდიდატის წაგების საფრთხე დადგება, მას შეუძლია „თავი ბუჩქებს შეაფაროს“.

საერთოდ, კავკასიაში არასდროს არ ყოფილან ისეთი ლიდერები, რომლებიც პარტიას და ერთნაირი მსოფლმხედველობის მქონე ადამიანების გაერთიანებებს მოერგებოდნენ ხოლმე. პირიქით — უფრო მეტად პარტიები და გაერთიანებები ცდილობდნენ გაერთიანებულიყვნენ ძლიერი პიროვნების გარშემო. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. რა თქმა უნდა, კახაბერ კარლოვიჩი მიხეილ სააკაშვილი არ არის, მაგრამ იგი პრაგმატული პიროვნებაა, პოპულარულია, ამიტომ ამ არჩევნებში რეალური წარმატების მისაღწევად ოპოზიციას რთული ბრძოლა მოუწევს. მმართველი პარტიის კანდიდატის გამარჯვება კი უპირატესად იმაზე არის დამოკიდებული, ჩაერთვება თუ არა საარჩევნო კამპანიაში (ფორმალურად მაინც) ბიძინა ივანიშვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში არაა გამორიცხული ისე მოხდეს, რომ იმ ხმების დიდი ნაწილი, რომელიც 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს „ქართული ოცნების“ ყულაბაში ჩაიყარა, ახლა შეიძლება დამოუკიდებელმა კანდიდატმა წაიღოს.

პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ თვითონ კახა კალაძე ადრეც ცდილობდა „ქართული ოცნების“ შიგნით დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორიდან გამომდინარე, მაინც ყოველთვის მილიარდერთან ასოცირდებოდა. ასე რომ, ახლაც ასე იქნება: როგორც არ უნდა დამოუკიდებლად მოაჩვენოს თავი ამომრჩეველს კახა კალაძემ, იგი მაინც პარტიული კანდიდატია და აქედან გამომდინარე, მასვე მიეწერება როგორც პარტიის წარმატებები, ასევე შეცდომებიც. შესაბამისად, კანდიდატის რეიტინგი პარტიის რეიტინგზე იქნება მიბმული.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები საქართველოში ოქტომბრის თვეში გაიმართება, ზუსტი თარიღი კი სპეციალური აქტით იქნება განსაზღვრული, რომელსაც პრეზიდენტი აგვისტოში გამოსცემს. კახა კალაძის ძირითად კონკურენტად ოპოზიციური პარტიის — ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ზაალ უდუმაშვილი ითვლება და რამდენადაც „ნაციონალებს“, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ხმა დაახლოებით 500 ათასმა ამომრჩეველმა მისცა, მიმომხილველები მეორე ტურის ჩატარების შესაძლებლობას არ გამორიცხავენ. ქალაქის თავის პოსტისთვის ბრძოლას იწყებს აგრეთვე ელენე ხოშტარიაც, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი და სხვებიც, თუმცა ეს მხოლოდ ისე, არჩევნების „გასაცხელებლად“, მისთვის მრავალფეროვნებისა და კონკურენტული სახის მიცემისათვის...

დღეს თბილისის მერის პოსტი მმართველი პარტიის წარმომადგენელს დავით ნარმანიას უკავია. ქართველი ექსპერტების მტკიცებით, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ დედაქალაქის მოსახლეობა დავით ნარმანიას საქმიანობას ნეგატიურად აფასებს.

„kaspiy“ (აზერბაიჯანი)

თამარ ბერუჩაშვილი: ეჯერა, რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა!

როგორც ცნობილია, 29 ივნისს, ბრიტანულ ჟურნალ „The Economist“-ში გამოქვეყნდა სტატია საქართველოს შესახებ სათაურით „საქართველო, რეფორმების მოდელი, ცდილობს სუფთა ქვეყნად დარჩეს, ხეების მოყვარული ოლიგარქი კი სიტუაციას კულისებიდან მართავს“, რომელშიც ქვეყანაში შექმნილი სიტუაციაა გაანალიზებული და გამოთქმულია კრიტიკული შენიშვნები „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართაც.

გთავაზობთ დიდ ბრიტანეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თამარ ბერუჩაშვილის კომენტარს სტატიასთან დაკავშირებით:

„მიზეზი, რის გამოც ამ სტატიისადმი კომენტარის გაკეთება გადავწყვიტე, ჩემს ქვეყანაში მომხდარი იმ მოვლენებისა და შექმნილი სიტუაციის შეფასება არ არის, რომლებიც მასშია გადმოცემული. ეს ავტორის პრეროგატივაა და მას პატივს ვცემ. მე უფრო მინდა ხაზი გავუსვა იმ საკმაოდ ბევრ მცდარ ინფორმაციას, რომლებსაც მკითხველი აწყდება სტატიაში.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო უკვე არაერთხელ წარმოჩენილა დასავლელი პარტნიორების მიერ მიბაძვის მაგალითად რეგიონის დანარჩენი ქვეყნებისათვის ჭეშმარიტად ლიბერალური დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის საქმეში, მათ შორის ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერაც. მათი შეფასება არგუმენტირებულია და მტკიცე საფუძველი აქვს.

მწვავე გეოპოლიტიკური გამოწვევებისა და რუსეთის პერმანენტული ოკუპაციის მიუხედავად, საქართველო შეუქცევადად მიჰყვება თავის ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას. სამწუხაროდ, საქართველოს უპრეცედენტო ერთგულება დასავლური ფასეულობებისადმი პუბლიკაციის ავტორის მიერ სრულიად იგნორირებულია.

მითხარით, განა ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანას აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ჩინეთთან და იმავდროულად ევროკავშირთანაც? ასევე შეღავათიანი სავაჭრო ხელშეკრულებები რუსეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და იაპონიასთან? ასეთი ქვეყანა, რომელმაც ამ წარმატებებს მიაღწია და „ეკონომისტისთვის“ მაინც შეუმჩნეველი დარჩა, საქართველოა. სხვათა შორის, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება თქვენი სტატიის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე გაფორმდა. აქედან გამომდინარე, თქვენს მიერ ასახული სიტუაცია კონტრ-ინტუიტურად, არალოგიკურად მიმაჩნია.

„ეკონომისტი“ მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებთან და დიპლომატებთან, პოლიტიკურ კლასთან და მათ კომპანიონად ითვლება, ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდიდან. ამიტომაც მინდა მჯეროდეს, რომ საქართველოს მიმართ რაღაც გაუგებრობა მოხდა. ვიმედოვნებ, ჩემს მიერ გამოთქმულ შენიშვნებს სათანადო ყურადღებით განიხილავთ და მათ გაგებით მოეკიდებით.

„The Economist“ (დიდი ბრიტანეთი)

ტოკიოში არტ-აკვარიუმი გაიხსნა

ტოკიოში არტ აკვარიუმის ექსპოზიცია გაიხსნა, რომელიც ოქროს თევზზე ზღაპრის ერთგვარი თანამედროვე ვერსიაა. კონცეფციის ავტორი ჰიდეტომო კიმურაა, რომელმაც უზარმაზარ ინსტალაციაში თანამედროვე ტექნოლოგიები, ლაზერი და ვიდეომაპინგი გამოიყენა. ულამაზესი ინსტალაციის ხილვა მსურველებს 24 სექტემბრამდე შეეძლებათ.

ინდონეზიაში ტურისტებს ძაღლის ხორცს აჭმევენ

ინდონეზიაში კუნძულ ბალიზე ტურისტებს ძაღლის ხორცით უმასპინძლებოდნენ, ისე, რომ საკვების შესახებ მათ ინფორმაციას არ აწვდიდნენ. ავსტრალიის ცხოველთა დაცვის ასოციაციის ინფორმაციით, ბალიზე ყოველწლიურად 100 ათასზე მეტ ძაღლს სასტიკი მეთდებით კლავენ შემდგომში საკვებად გამოყენების მიზნით. მომხდარზე გამოძიება არასამთავრობო ორგანიზაციამ ჩაატარა და საგანგაშო სტატისტიკა გამოაქვეყნა. საუბარია ძირითადად ქუჩის მოვაჭრეებზე, რომლებიც ძაღლის ხორცს ყიდიან. ცხოველთა დაცვის საზოგადოება ინდონეზიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აპირებს, რათა უკანონო ვაჭრობა შეწყდეს.

საბერძნეთში ამერიკელი ტურისტი მოკლეს

საბერძნეთის კუნძულ ზაკინტოსზე 22 წლის ამერიკელი ტურისტი გარდაიცვალა. გამოძიების ვერსიით, ის, სავარაუდოდ, ჯგუფური თავდასხმის მსხვერპლი გახდა. წინასწარ განზრახვით მკვლელობაში კუნძულის 8 მცხოვრებია ეჭვმიტანილი. ერთერთი მათგანის ადვოკატი აცხადებს, რომ მის კლიენტს ტურისტის მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია და მას აფექტურ მდგომარეობაში მყოფი დაესხა თავს.

ფილიპინებში ისლამისტთა რიგებში, სავარაუდოდ, ბავშვებიც იბრძვიან

ფილიპინების სამხრეთით მდებარე ქალაქ მარავიში ალყაში 100-მდე ისლამისტი რჩება. ამის შესახებ შეიარაღებული ძალების სამეთაურო შტაბი იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, ისლამისტებს 700-მდე თანამოაზრეც ეხმარებოდა, რომელთა შორის არასრულწოვნებიც იყვნენ. ყველაზე პატარა მებრძოლი ასაკით 7 წლის იყო. რჩებიან თუ არა ბავშვები ალყაში მოქცეულ ისლამისტთა რიგებში, ამ დრომდე უცნობია.

ლონდონში ხანძარი ლოკალიზებულია

ლონდონში ქემდენ ლოქის ბაზრობაზე გაჩენილი ხანძარი ლოკალიზებულია. ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში 70 მეხანძრე და 10 სახანძრო მანქანა იყო ჩართული. სავაჭრო კომპლექსს ცეცხლი გვიან ღამით გაუჩნდა. დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. ამ დრომდე უცნობია ხანძრის გამომწვევი მიზეზიც.

ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“ მსურველებს ელის

ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“ მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება გრძელდება. კონკურსი, რომელიც ერთდროულად ხელოვნებისა და ლიტერატურის რამდენიმე სფეროს მოიცავს, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით ხორციელდება.

„აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განაცხადის შეტანა წლის საუკეთესო პროზაული, პოეტური, ფერწერული, ფოტოხელოვნებისა და არქიტექტურის, ასევე წლის საუკეთესო სიმღერისა და ქანდაკების ნომინაციებზე შეეძლებათ. სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის კი წარმოდგენილია ნომინაცია „წლის საუკეთესო ესსე“, რომელშიც თემატიკა ყოველწლიურად განსხვავებულია. წელს ესეს თემებია: „ილიას საქართველო“, ასევე ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი შემოქმედება. ამასთან, განსაკუთრებული ღირებულების მქონე ნაწარმოებს ჟიური სპეციალურ პრიზს გადასცემს.

ნამუშევრების მიღება 8 სექტემბრამდე გაგრძელდება, ხოლო გამარჯვებულების დაჯილდოება, რომლებსაც კონკურსის სიმბოლო – ხოხობი და ერთჯერადი ფულადი პრემია გადაეცემათ, „თბილისობის“ ღონისძიების ფარგლებში მოხდება.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა ნაწარმოების გამოგზავნა და ელექტრონული სააპლიკაციო საკონკურსო განაცხადის შევსება, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზეა განთავსებული“, – აცხადებენ საკრებულოში.

განცხადება

2017 წლის 31 აგვისტოს 14:00 საათზე, ფიზიკური პირის „ლეილა გადელია“-ს ოფისში (მისამართი: ქ. თბილისი, ფეიქრების №14), გაიმართება ფიზიკური პირის „ლეილა გადელია“-ს ცემენტის საწარმოს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ცემენტის წარმოება (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით).

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, ფეიქრების №14, ს/კ 01.11.19.003.122.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ფიზიკური პირის „ლეილა გადელია“-ს ოფისი, ქ. თბილისი, ფეიქრების №14; ტელ: (+995)597-525-268;**
- **შპს „ჯეოკონი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, კეკელიძის ქ.** №62-64. ტელ: (+995) 599-540-208.

საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე, მისამართზე: ქ. თბილისი, ფეიქრების №14, საკონტაქტო პირი: შოთა ხარებავა, ტელ.: (+995)597-525-268.

ი/მ ზურაბ აბურჯანიას (პ/ნ 01016008462)

ბატონო ზურაბ,

გაცნობებთ, რომ შპს „საკონდიტრო ფაბრიკა ნარცისი“-სა და თქვენს შორის არსებული ხელშეკრულების (03.02.2016 წ. ხელშეკრულება დისტრიბუციის შესახებ და სანოტარო აქტი №160090052) პირობების არაერთგზის დარღვევის გამო გერიცხებათ დავალიანება ჩვენს მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ამ შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში განახორციელოთ დავალიანების დაფარვა შპს „საკონდიტრო ფაბრიკა ნარცისი“-ს მიმართ, დავალიანების თანხა შეადგენს 5277,00 (ხუთი ათას ორას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

წინააღმდეგ შემთხვევაში შპს „საკონდიტრო ფაბრიკა ნარცისი“ მოითხოვს და მიიღებს ნოტარიუსისგან სააღსრულებლო ფურცელს და დაიწყებს აღსრულების პროცესს ხელშეკრულების შესაბამისად.

პატივისცემით
შპს „საკონდიტრო ფაბრიკა ნარცისი“-ს
დირექტორი **დავით დარასელია**

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს როლანდ ბორჩაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** როლანდ ბორჩაშვილი (პ/ნ 08001010149), ახმეტა, სოფელი ჯოყოლო.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ახმეტა, სოფელი ჯოყოლო (საკადასტრო კოდი: 50.07.32.042).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 26359.65 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 11 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 24 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP45640217;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 456402

6. **მოვალე:** ზურაბ ბაღაკაშვილი (პ/ნ 08201040441), ახმეტა, სოფელი დუისი;
პაატა გუმაშვილი (პ/ნ 08001010234), ახმეტა, სოფელი ჯოყოლო;
ნურდი გაურგაშვილი (პ/ნ 08001022964), ახმეტა, სოფელი დუისი, მე-5 მე-13 შესახვევი №2.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP45640217; ლოტის ნომერი: 456402).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 24 ივლისის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მამუკა ნიკურაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მამუკა ნიკურაძე (პ/ნ 37001011340), სამტრედია, თბილისის ქ. №16.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, სანაპირო მალთაყვა №8, სართული 4, ბინა №31 (საკადასტრო კოდი: 04.02.12.612.02.031).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16359.01 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 11 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 24 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP45640917;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 456409

6. **მოვალე:** მამუკა ნიკურაძე (პ/ნ 37001011340), სამტრედია, თბილისის ქ. №16.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP45640917; ლოტის ნომერი: 456409).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 24 ივლისის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ დაჯილდოება

კოლეგების დაფასება

გასული კვირის მიწურულს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული მედიაფესტივალის „ბაჩოს თასის“ ფარგლებში მინიფეხბურთსა და კალათბურთში გამართული ტურნირების დასრულების შემდეგ, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ რამდენიმე სახელობითი პრემიის ლაურეატები დააჯილდოვა. მათ შორის მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემია „ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის“ ასოციაციის პრეზიდენტმა მიხეილ აბაიშვილმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის განყოფილების თავკაცს **გია პლატონიშვილს** გადასცა.

ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემიით „წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის“ დაჯილდოვდნენ **დემიკო ლოლაძე** (წიგნებისთვის „სლავა მეტრეველი“, „მიშა მესხი“) და **ლაშა გოდუაძე** (წიგნისთვის „ბასკებით დაწყებული ისტორია – თბილისის „დინამოს“ ყველა საერთაშორისო მატჩი“).

ნუგზარ შატაიძის სახელობის პრემია „სპორტულ ჟურნალისტიკაში თავგამოჩენილი არაპროფესიონალი სპორტული ჟურნალისტებისთვის“ მიენიჭათ **გივი გამრეკელსა** და **გულბათ ტორაძეს**.

გურამ თიკანაძის სახელობის პრემია გადაეცათ **თამარ ყულუმბეგაშვილსა** და **ლაშა კუპრეიშვილს** (ფოტოალბომისთვის „ქართველები რიოში“).

ეროსი მანჯგალაძის სახელობის პრემია რადიომაუწყებლობაში მიეკუთვნა სპორტულ რადიო **„ჯაკოს“**.

კოტე მახარაძის სახელობის პრემია მიანიჭეს **ალეკო ჯიბლაძეს** (გარდაცვალების შემდეგ).

ამასთან, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის დიპლომი გადასცა ღვაწლმოსილ კომენტატორს **თემურ ჯაფარიძეს**.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს კოლექტივის ღირსეულ წევრს, შესანიშნავ ჟურნალისტსა და გულითად მეგობარს **გია პლატონიშვილს,** ასევე დანარჩენი პრემიების ყველა ღირსეულ ლაურეატს პროფესიულ დაფასებას, წარმატებებსა და ნაყოფიერ მოღვაწეობას ვუსურვებთ მათ შემოქმედებით საქმიანობაში.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

◎ უკვდავება

გვახსოვხარ, ბაჩო!

7 ივლისს ოლიმპიურმა სასახლემ სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციულ ფესტივალს – „ბაჩოს თასი 2017“ – უმასპინძლა. შეჯიბრებები ოლიმპიური სასახლის მცირე დარბაზში გაიმართა.

სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული ფესტივალი მეექვსედ ჩატარდა. ის 2010 წელს მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაცვლილი ახალგაზრდა სპორტული ჟურნალისტის ბაჩო სვანიძის სახელს ატარებს. ღონისძიება სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ეგიდით მოეწყო, მხარდამჭერები კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ფეხბურთისა და კალათბურთის ფედერაციები იყვნენ.

მინიფეხბურთში პრიზიორები გახდნენ „ბაჩოს მეგობრები“, „ტელემედია“ და „სპორტული პრესა“, მინიკალათბურთელთა ტურნირი „სპორტულმა პრესამ“ მოიგო, გოგონათა შორის კი ყველას „როზაურამ“ აჯობა.

საუკეთესო ფეხბურთელს, გამარჯვებულთა მეკარე კობა ხატისაშვილს ახლახან გარდაცვლილი სპორტული კომენტატორის ალეკო ჯიბლაძის სახელობის პრიზი გადაეცა, ხოლო საუკეთესო კალთბურთელად მიჩნეული „სპორტული პრესის“ გუნდის წევრი გიორგი კოროშინაძე საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეთა ავტოგრაფებით დამშვენებული კალათბურთის ბურთით დაჯილდოვდა.

ნიშანდობლივია, რომ ქართველ სპორტულ ჟურნალისტთა თავკაცმა მიხეილ აბაიშვილმა სპორტული ჟურნალისტიკის ხელშეწყობისათვის სპეციალური პრიზებით აღნიშნა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის ტარიელ ხეჩიკაშვილისა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ლევან კობიაშვილის თანადგომა.

შეგახსენებთ, რომ 2014 წელს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ბაჩო სვანიძის შესახებ წიგნი გამოსცა – „ღიმილის ბიჭი“. კრებულში თავმოყრილია ბაჩოს მეგობრების მოგონებები და სხვადასხვა დროს გაზეთ „სარბიელში“ გამოქვეყნებული ბაჩო სვანიძის ინტერვიუები მსოფლიო სპორტის ვარსკვლავებთან: ლეგენდარულ დიეგო მარადონასთან, სახელოვან ჩოგბურთელებთან კრის ევერტთან და გაბრიელა საბატინისთან, მსოფლიო რაგბის ვარსკვლავებთან ტანა უმაგასთან, ჯორჯ გრეგანთან, ენდი მერთენსთან, დენ ლუგერთან, ფრენბურთელ ეკატერინა გამოვასთან და იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან მარიო პესკანტესთან.

გიორგი შოთაძე

◎ დაცემა

ავტოგოლი... ტრიბუნიდან

აქედანვე განვმარტავ: ჩვენი წერილის რუბრიკის სათაური 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური რაუნდის ფინიშზე საქართველოს ნაკრების მარცხმა კი არა, არამედ 70-ე წუთზე მომხდარმა სამარცხვინო ფაქტმა მიკარნახა, როცა ჩეხებმა მეორე გოლი გაგვიტანეს და ნახევარფინალისკენ მიმავალ გზაზე „წითელი“ აგვინთეს.

სტუმრებს კიდევ ერთი წარმატებით მოგვრილი სიხარულის აღნიშვნა ჯერაც არ ჰქონდათ დასრულებული, ტრიბუნიდან ვიღაც გარეწრის ნასროლმა მობილური ტელეფონის აპარატმა დანიელ მსაჯ კრისტოფერსონს თავი რომ გაუტეხა და თამაში დაახლოებით 15 წუთით შეწყდა.

მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე მიმდინარე ფორუმის ყველა მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს „ევროსპორტი“ გადასცემს, ამიტომ ვაკის „მიხეილ მესხზე“ შესაშური სიზუსტით განხორციელებულმა ნატყორცნმა, უპირველესად, საქართველოს ავტორიტეტი შებღალა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ისედაც მოფამფალებულია და ბევრს საქირქილოდ ნოყიერ ნიადაგს უქმნის. გეკითხებით – ნუთუ ისევ იმ უახლოეს წარსულში ვბრუნდებით, როცა იქვე (მაშინ „ლოკომოტივი“ რომ ერქვა) ირლანდიელ კილბეინს დანა ვესროლეთ?

რაც შეეხება თვით შეხვედრას, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი რამდენიმე ნიჭიერი ინდივიდუალისტის ამოკეტვით სტუმართა თავკაცმა იან სუხოპარეკმა კოლეგა გიორგი ყიფიანს ტაქტიკური დუელი პირწმინდად მოუგო და მწარე სიმართლე გვითხრა – ჯერ გუნდი არ გყავთო. სხვათა შორის, ეს სტანდარტულების გათამაშების დროსაც დადასტურდა: შაშენკას და ჰოლიკის გატანილი ორივე ბურთი კუთხურებს მოჰყვა – 2:0.

პორტუგალია – შვედეთი 2:2.

„ა“ ჯგუფის საბოლოო სატურნირო მდგომარეობა: პორტუგალია – 7, ჩეხეთი – 6, საქართველო – 3, შვედეთი – 1 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. ინგლისი – გერმანია 4:1, ჰოლანდია – ბულგარეთი 1:1.

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა: ინგლისი – 9, ჰოლანდია – 4, გერმანია – 3, ბულგარეთი – 1 ქულა.

ხვალ ნახევარფინალში ითამაშებენ: ინგლისი – ჩეხეთი, პორტუგალია – შვედეთი.

გია პლატონიშვილი

◎ ცურვა

მარცხნიდან – მარიამ იმნაძე, მერი მუმლაძე და თინათინ კევლიშვილი.

გენერალური რეპეტიცია

23-30 ივლისს მადიართა დედაქალაქი ბუდაპეშტი მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, ცოტა მოგვიანებით კი უნგრულ სეგედში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება. ბუდაპეშტის ცისფერ ბილიკებზე ძალებს ოთხი ქართველი მოცურავე მოსინჯავს: ირაკლი რევიშვილი თავისუფალი ყაიდით 200 და 400 მეტრზე იასპარეზებს, გიორგი ბიგანიშვილი ამავე დისციპლინაში 50 და 100 მეტრზე დაუპირისპირდება მეტოქეებს, მერი მუმლაძე ბრასით 50 და 100 მეტრზე იცურავებს, ხოლო რუსუდან გოგინაშვილი მეტოქეებთან 200 მეტრზე ბრასითა და 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში გაარკვევს ურთიერთობას. სეგედში ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალზე 2001-2002 წლებში დაბადებული ვაჟები და 2002-2003 წლებში დაბადებული გოგონები იბრძოლებენ საპრიზო ადგილებისთვის. საქართველოს სპორტულ ღირსებას თინათინ კევლიშვილი (თავისუფალი ყაიდით 100 და 200 მეტრი, კომბინირებული ცურვით – 200 მეტრი) და ლუკა კუხალაშვილი (50 და 100 მეტრი თავისუფალი ყაიდით) დაიცავენ. ამ შეჯიბრებებისთვის ერთგვარ მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ გამართული მოცურავეთა საქართველოს 2017 წლის ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებმა იასპარეზეს. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას.

ძალები

თავისუფალი ყაიდა. 50 მ. მარიამ იმნაძე („ტონუსი“, 27,67), **100 მ.** მერი მუმლაძე („ტონუსი“, 1.00,56), **200 მ.** თინათინ კევლიშვილი („არენა“, 2.14,35), **400 მ.** მერი მუმლაძე (4.58,22), **800 მ.** თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 11.01,03), **1500 მ.** მერი მუმლაძე (20.43,23), **ბრასი. 50 მ.** რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი, 35,67), **200 მ.** სალომე ლომიძე („ტონუსი, 2.53,66), **100 მ.** სალომე კესარელი („ტონუსი“, 1.21,20), **ბატერფლაი. 50 მ.** თამარ მჭედლიძე („არენა“, 30,98), **100 მ.** ელენე ბერაია („ტონუსი“, 1.09,67), **200 მ.** ნინო ხუტუნიშვილი (ჭიათურა, 2.47,09), **გულაღმა ცურვა. 50 მ.** რუსუდან გოგინაშვილი (32,03), **100 მ.** მარიამ ხუტუნიშვილი (ჭიათურა, 1.11,67), **200 მ.** მარიამ ხუტუნიშვილი (2.42,80), **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** მარიამ ხუტუნიშვილი (2.48,59), **400 მ.** თამარ მეგრელიძე (რუსთავი, 5.44,42), **კომპლექსი. 4X100 მ.** 1. „ტონუსი“ (5.04,90), 2. ჭიათურა (5.21,43), 3. გლდანი (5.32,56).

ვაჟები

თავისუფალი ყაიდა. 50 მ. გიორგი ბიგანიშვილი (დიღომი, 23,76), **100 მ.** გიორგი ბიგანიშვილი (53,30), **200 მ.** აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 1.59,51), **400 მ.** ვლადიმერ გურგენიძე („ტონუსი“, 4.53,51), **800 მ.** ზურა კორკიტი („სპორტტაიმი“, 11.24,38), **1500 მ.** გაგა ჩიტიძე (საჩხერე, 20.32,03), **ბრასი. 50 მ.** ლევან ბახტურიძე (საჩხერე, 29,57), **100 მ.** ლევან ბახტურიძე (1.06,99), **200 მ.** რატი კერვალიშვილი („ტონუსი“, 2.33,71), **ბატერფლაი. 50 მ.** გიორგი ბიგანიშვილი (26,50), **100 მ.** აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 57,78), **200 მ.** აკაკი ვაშაკიძე (2.06,90), **გულაღმა ცურვა. 50 მ.** აკაკი ვაშაკიძე (28,33), **100 მ.** აკაკი ვაშაკიძე (1.03,09), **200 მ.** ლუკა ლორთქიფანიძე (აჭარა, 2.36,18), **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** აკაკი ვაშაკიძე (2.14,23), **400 მ.** ლუკა ლორთქიფანიძე (5.34,18), **კომპლექსი. 4X100 მ.** 1. „ტონუსი“ (4.17,86), 2. გლდანი (4.54,48), 3. რუსთავი (5.07,58).

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

სტამბოლშიც ვიქართველეთ

ნოზოვას (შვედეთი, 6:2, 6:1) და ლუიზ ლამას (საფრანგეთი, 6:1, 6:2) მოუგო.

საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა ჩოგბურთელ ქალთა 15.000-იან საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც სტამბოლმა უმასპინძლა. წარმატებას მიაღწია ეკატერინე გორგოძემ, რომელმაც ორი პირველი ადგილი დაიკავა. ერთეულებში მან ხუთი მეტოქე დაამარცხა: ფრანგი მანონ პერა (6:2, 6:3), რუსი ვასილისა აპონასენკო (6:2, 6:3), კიდევ ორი ფრანგი - ჟოზეფინ ბუალე (6:0, 6:3) და კაროლინ რომეო (6:2, 6:2). ფინალში ამერიკელ სანაზ მარანდს აჯობა – 6:2, 6:1 და მთავარი პრიზი მოიპოვა. საგულისხმოა, რომ ოკეანისგაღმელმა ნახევარფინალში მარიამ ბოლქვაძე ჩამოიშორა გზიდან. მანამდე ჩვენებურმა პაულინა ბაკაიტეს (ლიტვა, 7:5, 6:1), ანეტ მუ-

წყვილებში გორგოძე და ბოლქვაძე ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტები იყვნენ. მათ ზედიზედ სძლიეს ბოიანა მარინკოვიჩსა (სერბეთი) და კატერინ პესკლის (ავსტრია) – 6:2, 6:7, 10:2, მანონ პერასა და კაროლინ რომეოს (ორივე-საფრანგეთი) – 6:3, 3:6, 10:4, პეტრა არშინკოვას (ბულგარეთი) და იპეკ ოზის (თურქეთი) – 6:1, 6:3, რითაც მთავარი პრიზი დაიმსახურეს. ორივე ქართველი ჩოგბურთელი დღეიდან თელავის ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) იასპარეზებს.

გივი გაგუა

◎ სულიერება

ღვთისმშობლის ხატის „სამხელიანის“ დღესასწაული

11 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს მარიამ ღვთისმშობლის ხატის „სამხელიანის“ ხსენებას.

ცნობილია, რომ ეს ხატი მთხოვნელს უსრულებს თხოვნას ხელების, ფეხების სნეულებისას, სულიერი მღელვარების, ხანძრის დროს.

717 წელს წმინდა იოანე დამასკელს დამასკოს მთავრის წინაშე ცილი დასწამა ხატმებრძოლმა იმპერატორმა ლეონ ისავარიანმა. მთავარმა საქმის გამოუძიებლად ხელი მოჰკვეთა წმინდანს და ყველას დასაშინებლად მოედანზე დაჰკიდა. როცა მთავრის მრისხანება დაცხრა, წმინდა იოანემ თავისი ხელი გამოითხოვა მისგან და სენაკში ჩაიკეტა... დიდხანს ლოცულობდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე. ბოლოს ჩაეძინა. ყოვლადწმინდა სიზმარეულ ხილვაში გამოეცხადა და აუწყა, რომ ხელი განეკურნა. წმიდა იოანეს ბრძანებით ვერცხლისგან ჩამოასხეს ხელის მტევანი, რომელიც წმინდანმა ხატს შესწირა, სწორედ აქედან მოდის სახელწოდება „სამხელიანი“, რომელიც შემდეგში მრავალ სასწაულს აღასრულებდა.

P. S. დღევანდელი დღის, ღვთისმშობლის ხატის შეწევნა მინდა ვუსურვო ჩემს საყვარელ ძმისშვილს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტს დავით ლიპარტიას, რომელსაც დღეს დაბადების დღე აქვს!

გიული ლიპარტია

„კაცი იყავ კაცური და...“

მარხვებს მსოფლიოს ყველა უდიდესი რელიგიის მორწმუნენი იცავენ, თუმცა კი განსხვავებულად და სხვადასხვა დროს.

მაგალითად, მართლმადიდებლობაში სხვადასხვა დროზე განაწილებული მარხვების მთლიანი მოცულობა ნახევარ წელზე მეტს შეადგენს; რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში ყოველი მორწმუნე მარხვის შესახებ გადაწყვეტილებას თავადვე იღებს და თვითონვე ადგენს, თუ რა შეზღუდვებს უყენებს საკუთარ თავს; პროტესტანტებში მარხვა სამ დღეზე მეტხანს არ გრძელდება, მაგრამ იგი საკვების მიღებისგან სრულიად თავის შეკავებასა და გაძლიერებულ ლოცვას გულისხმობს; პროტესტანტებს კალენდარული მარხვის წესი არა აქვთ — მას საჭიროებისდა მიხედვით იცავენ. ეს ხდება თავად მორწმუნის ან მისი რომელიმე ახლობლის ავადმყოფობის დროს, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისას, რწმენის გასაძლიერებლად, ეჭვებისგან გასათავისუფლებლად.

ისლამში არის კიდევ რეკომენდებული მარხვები. კერძოდ, ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს, მთვარის ყოველ თვეში მე-13, მე-14 და მე-15 რიცხვში (სავსემთვარეობის დღეში); რამადანის თვეს მოყოლებული შავალის 6 დღე; 624 წელს შარიათით დადგინდა მუსლიმანთა სავალდებულო მარხვა რამადანის თვეში, რომლის ხანგრძლივობა, მთვარის კალენდრის ხანგრძლივობისდა მიხედვით, 29 ან 30 დღეა;

ძველად იუდაიზმში მარხვას გლოვის, უბედურების თავიდან ასაცილებლად ან შესარბილებლად, ლოცვის ან მონანიების თანმდევი აქტის ნიშნად იცავდნენ; იუდაიზმის მთავარი მარხვაა იომ კიპური — გამოსყიდვის დღე, როცა აკრძალულია ჭამა-სმა, პირის დაბანა, კოსმეტიკის გამოყენება, ტყავის ფეხსაცმლის ჩაცმა და ცოლქმრული სიახლოვე.

ბუდიზმში მარხვა ერთი დღის ალიონამდელ ბინდბუნდში იწყება, მეორე დღეს მზის ამოსვლამდე გრძელდება და ამ დღეღამის განმავლობაში საკვების მიღებისგან სრულ თავის შეკავებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, საჭიროა აღთქმების დაცვა: მკვლელობაზე, ქურდობაზე, მრუშობასა და ტყუილზე, ასევე მათრობელა სუბსტანციების მიღებაზე, სხეულის მაამებლობასა და გართობაზე უარის თქმა.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი სამართალმცოდნე და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, დიდებული პიროვნება და მოქალაქე

ჯამლეტ ბაბილაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

თენგიზ ქავთარაძე, თემურ კუჭუხიძე, ზაურ ფხალაძე, ზურაბ მსხვილიძე, თემურ მურღულია, სიომა მაჭავარიანი, ვაჟა გენგაშვილი, ილო ოთარაშვილი, ნოდარ მუმლაძე იუწყებიან გამორჩეული პიროვნების

ჯამლეტ გიორგის ძე ბაბილაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

შვილები ანასტასია, ნანა, ლელა ლაპიაშვილები, სიძეები შოთა მელივა, პაატა მირაშვილი, შვილიშვილები ნიკოლოზ, გაბრიელ, თამარ მელივები, ალექსანდრე, მარიამ, თედო ჩუბინიძეები ოჯახებით, ძმა გურამ ქაშაკაშვილი, ძმისშვილები ბენო, ია ქაშაკაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გულნარა ქაშაკაშვილი

პანაშვიდი 11, 12 VII, დაკრძალვა 13 VII, 15 სთ., მის: ქ: თბილისი, ვაზისუბანი, ხელოვანთა ქ. სახლი 14 (სასტუმრო „კაველას“ მიმდებარედ).

◎ თბილისური პარადოქსი

ძაღლების გასასეირნებელი ადგილების მოწყობას ცხოველთა დამჭერი უწყება კისრულობს

თბილისში ძაღლების გასასეირნებელი სპეციალური ადგილები მოეწყობა. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი თემურ ფხალაძე ამბობს, რომ საამისოდ 7 სპეციალური ადგილი შეირჩა, მაგრამ შერჩევის პროცესი კვლავაც გრძელდება.

ამ ეტაპზე საუბარია შემდეგ ტერიტორიებზე: **ვერის ბაღი, კუს ტბის მიმდებარე ტერიტორია, მზიური, წითელი ბაღი საბურთალოზე, დედაენის ბაღი, პეტრიაშვილის ქუჩასა და ვარკეთილში მდებარე ბაღები.**

საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციის თავმჯდომარე **თემურ ლაჭყეპიანი** ეჭვობს, რომ შერჩეული ადგილები არ გააუმჯობესებს ცხოველებისა და მათი მეპატრონეების მდგომარეობას. მართალია, წინათ ამ მიზნით მხოლოდ დედაენის ბაღი იყო გამოყოფილი და ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში გადაადგილება ძაღლების მეპატრონეებს უჭირდათ, მაგრამ არც ასე შეზღუდულად შვიდი ადგილის გამოყოფაა პანაცეა. მით უმეტეს, დიდი ქალაქია თბილისი და გასასეირნებელ ადგილამდე მისვლას და უკან დაბრუნებას ნახევარი საათი შეიძლება დასჭირდეს.

პირიქით, ამ ტერიტორიების დაკონკრეტება ნიშნავს, რომ ძაღლების მეპატრონეებს ავტომატურად უზღუდავენ სხვა ტერიტორიაზე საკუთარი ცხოველების გასეირნებას. ამდენად, შვიდი ადგილის დაწესება არ უნდა ნიშნავდეს, რომ სხვა ტერიტორიაზე გასეირნება აკრძალულია. მართალია, კერძო ტერიტორიის მეპატრონეს სრული უფლება აქვს, თავის ტერიტორიაზე არ შეუშვას ძაღლი, მაგრამ, თუკი ცხოველის პატრონი წესების დაცვით სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასეირნებს ძაღლს, მაშინ მისთვის შეზღუდვა არ უნდა წესდებოდეს.

„მით უმეტეს, რომ არსებობს სპეციალური სამაგრი, იგივე პამპერსი, რომლითაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ასეირნებენ ოთხფეხა მეგობრებს იმ ადგილებში, სადაც გარემოს დაბინძურება აკრძალულია. ცხოველთა მუნიციპალურმა სამსახურმა ისიც კი არ იცის, რომ ამ პამპერსების გამოყენების შემთხვევაში, ძაღლის მეპატრონეს ვერ აუკრძალავ ცხოველის გადაადგილებას. ამ დროს კი ეს სამსახური შინაური ცხოველისთვის კონკრეტული სასეირნო ადგილების დაწესებას ძაღლების ფეკალიების მომიზეზებით იშველიებს. მარტო თბილისში მსგავსი სასეირნო ადგილების მოწყობა არფერს ნიშნავს. ცენტრალური ხელისუფლებისგან უნდა გამოიყოს თანხა, რომ არ მოხდეს სხვა მუნიციპალიტეტების უგულებელყოფა. რა დააშავეს საქართველოს რეგიონების სხვა მუნიციპალიტეტებმა? გამომდინარე იქიდან, რომ თანხები არ არის გამოყოფილი რეგიონებში, ჩნდება ეჭვი, რომ თბილისში ამ თანხების არამიზნობრივ ხარჯვას აპირებენ“, — აცხადებს თემურ ლაჭყეპიანი For.ge-სთან საუბარში.

მისივე თქმით, გასასეირნებელი ადგილების მოწყობის პრინციპები ევროპულ ქვეყნებში ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებთან არის შეთანხმებული. თბილისში კი პარადოქსია, რომ ამ ფუნქციას კისრულობს ცხოველთა დამჭერი უწყება, კერძოდ, ცხოველთა მუნიციპალური სამსახური. ამდენად, დამჭერების კომპეტენცია არ არის გასასეირნებელი ტერიტორიების მოწყობა.

უფრო მეტიც, თემურ ლაჭყეპიანი ცხოველთა მუნიციპალურ სამსახურს კიდევ სხვა საერთაშორისო ნორმის დარღვევაში ადანაშაულებს. მისი თქმით, ამ უწყებამ შინაურ ცხოველთა რეგისტრაციაც შეითავსა, რაც მათი ფუნქცია არ არის. ეს ნიშნავს მეპატრონეებისგან ძაღლების მიღებას, ანუ ჩაბარებას, რაც ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვას უკავშირდება. რეალურად, მეპატრონისგან ძაღლის მიღება ცხოველების მუნიციპალურ სამსახურს არ უნდა შეეძლოს, რადგან საკრებულოს წლიურ ბიუჯეტში პირდაპირაა მითითებული, რომ თანხა გამოყოფილია უსახლკარო ცხოველებისთვის.

„დღემდე არაერთი ძაღლი მიუღიათ მეპატრონეებისგან. წინა წლებში საჯარო ინფორმაციაშიც არ მალავდნენ, რომ ცხოველების ევთანაზია ხდებოდა მეპატრონის განცხადების საფუძველზე, ანუ ერთ შემთხვევაში მეპატრონეს აწერინებდნენ განცხადებას ჯანმრთელი ცხოველების დაძინებაზე, ხოლო, მეორე შემთხვევაში, რატომღაც მეპატრონეებისგან მიღებული ცხოველები ინფიცირდებოდნენ ჭირით და ისე იხოცებოდნენ. არავინ იცის, ცხოველთა მუნიციპალური სამსახურის შენობაში რეალურად რამდენი ცხოველი შედის და გამოდის. ამ შენობაში ცხოველთა დიდი ნაწილის ინფიცირება ხდება, შედიან ჯანმრთელი ძაღლები და შემდეგ ავადდებიან, დასკვნაში კი იწერება, თითქოს ცხოველი დაავადებული იყო და მას აძინებენ. უბრალოდ, ვეტერინარულ-სანიტარიულ ნორმებს არ იცავენ.

ერთსა და იმავე ადამიანს, ანუ ძაღლების მომვლელს არ შეიძლება კონტაქტი ერთდროულად ჰქონდეს ზრდასრულ ძაღლთანაც და ლეკვთანაც. დიდ ძაღლს შეიძლება არაფერი დაემართოს, მაგრამ დიდი ძაღლებისგან დაავადება გადადის ლეკვებზე და იმუნიტეტის არარსებობის გამო ისინი იხოცებიან. გარდა ამისა, ერთი და იგივე ფეხსაცმლით არ შეიძლება შევიდეს მომვლელი. ასევე, არ შეიძლება ვოლიერში ჯანმრთელ ძაღლთან ინფიცირებული ძაღლის ყოფნა. კარგია, რომ ცხოველთა გარკვეული რაოდენობის გაჩუქება ხდება, მაგრამ უმჯობესია, გასაჩუქებელი ცხოველები სრულად შემოწმდნენ, არიან თუ არა დაინფიცირებული. თორემ ისინი სხვა ჯანმრთელ ძაღლებს დააავადებენ“,— აღნიშნავს თემურ ლაჭყეპიანი.

ნონა აბულაძე

გელათი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში რჩება

UNESCO-მ გელათის სამონასტრო კომპლექსი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში დატოვა.

აღნიშნული გადაწყვეტილება UNESCO-მ პოლონეთის ქალაქ კრაკოვში მიმდინარე 41-ე სესიაზე მიიღო.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, გელათის მონასტერი, ბაგრატის საკათედრო ტაძართან ერთად მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ჯერ კიდევ 1994 წელს შევიდა. 2008 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მითითებების უგულებელყოფით ბაგრატის სარეკონსტრუქციო პროცესის დაწყების შედეგად, 2010 წელს ბაგრატის საკათედრო ტაძარი და გელათის მონასტერი საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში იქნა გადატანილი (34 COM 7B.88).

„მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მრჩეველი ორგანოს - ICOMOS-ის შეფასებით ბაგრატის საკათედრო ტაძარმა სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად დაკარგა განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა, გაითვალისწინა რა გელათის სამონასტრო კომპლექსის კონსერვაცია-რეაბილიტაციის მიზნით სახელმწიფოს მიერ გაწეული უდიდესი ძალისხმევა, 2013 წელს მიიღო უპრეცედენტოდ კომპრომისული გადაწყვეტილება (37 COM 7A.32), რითაც სახელმწიფოს დაევალა ბაგრატისა და გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის საზღვრების მნიშვნელოვანი მოდიფიკაციის დოკუმენტაციის მომზადება, რათა შექმნილიყო მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში გელათის მონასტრის დამოუკიდებელი ძეგლის სტატუსით დაბრუნების შესაძლებლობა.

ამ ახალი გამოწვევის საპასუხოდ, სახელმწიფომ არ დაიშურა ძალისხმევა, რათა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და ICOMOS-თან აქტიური თანამშრომლობით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, წამყვანი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მოემზადებინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსზე მიმდინარე საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო პროცესები სრულ თანხვედრაშია მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის სახელმძღვანელო პრინციპებთან და მიმდინარეობს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და მის მრჩეველ ორგანოებთან ინტენსიური და ნაყოფიერი კომუნიკაციის ფონზე.

უფრო მეტიც, სახელმწიფო, მსოფლიო მემკვდრეობის ცენტრთან და მის მრჩეველ ორგანოებთან თანამშორმლობით, აქტიურად მუშაობს მსოფლიო მემკვიდრეობის ეროვნული წინასწარული ნუსხის განახლებაზე, რაც მყარ საფუძველს ქმნის მომავალ წლებში მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის ფარგლებში ახალი წარმატებული ნომინაციებისათვის, რათა საქართველოს უნიკალური კულტურული და ბუნებრივი მრავალფეროვნება ღირსეულად წარმოჩინდეს მსოფლიო მემკვიდრეობის რუკაზე“, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ბაგრატის ტაძარი კი ნუსხიდან ამოიღეს!

ბაგრატის ტაძარი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოიღეს, — აღნიშნული გადაწყვეტილება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის 41-ე კომიტეტის სხდომაზე მიიღეს.

კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძემ განაცხადებით, გუშინდელ სესიაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მომხდარიყო საზღვრების მოდიფიკაცია, რაც თავისთავში გულისხმობს, რომ გელათი დარჩა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, ხოლო ბაგრატი აღარ არის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. კომიტეტის ყველა წევრმა ერთხმად აღიარა და ერთხმად განაცხადა, რომ ბაგრატის ტაძარმა, ჩატარებული რეკონსტრუქციის შემდეგ, დაკარგა ზოგადსაკაცობრიო ღირებულება.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

გოგენის ნახატი 90 მილიონით გაიაფდა

გენიალური მხატვრის პოლ გოგენის ტილო „როდის არის ქორწილი“ 90 მილიონი დოლარით გაიაფდა. ცნობილი იყო, რომ ყატარის მუზეუმების სახელმწიფო ორგანიზაციამ სურათი 2015 წელს 300 მილიონ დოლარად შეიძინა „სოტბის“ აუქციონის ყოფილი თანამშრომლის რუდოლფ შტეხელინისგან.

თუმცა დღეს ირკვევა, რომ პოსტიმპრესიონისტის ნახატში, მხოლოდ 210 მილიონი დოლარი იქნა გადახდილი. აქედან გამომდინარე გოგენის ტილო დღეს უკვე აღარ ითვლება ყველაზე ძვირად ღირებულ შედევრად მსოფლიოში.

დღესდღეობით პირველ ადგილს იკავებს უილიამ დე კუნინგის „გაცვლა“, რომელიც შარშან 300 მილიონ დოლარად გაიყიდა. მეორე ადგილზე პოლ სეზანის „ბანქოს თამაში“ დასახელდა, რომელიც 250 მილიონ დოლარად შეიძინა ყატარის სამეფო ოჯახმა.

კარლ ლაგერფილდს პარიზის საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა

მიუხედავად **თავისი გერმანული ფესვებისა, ფრანგული სახლის „შანელის“ უცვლელ, კრეატიულ დირექტორს კარლ ლაგერფილდს პარიზის საპატიო მოქალაქის ჯილდო და მედალი მიენიჭა.**

ეს ჯილდო სიყვარულის ქალაქის მერმა ანნა იდალგომ პირადად გადასცა დიზაინერს. ქალაქის თავმა არ დამალა საკუთარი სიმპათიები. მან განაცხადა, რომ სწორედ ლაგერფილდი ხდის პარიზს ლამაზსა და ზღაპრულს.

დაჯილდოების ცერემონიალი პარიზის მოდის კვირეულზე „შანელის“ კოლექციის წარდგენამდე ჩატარდა.

მოდის სახლის ახალი კოლექცია მთლიანად გამოხატავდა „პარიზის სულს“. ძირითადი დეკორაცია სცენაზე მინიატიურული ეიფელის კოშკი გახლდათ.

ეს ჯილდო 1911 წელს დაწესდა და მას იმ პიროვნებებს ანიჭებენ, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით პარიზის კულტურის განვითარებაში.

ვარსკვლავური ახირებები?

მსოფლიოს ცნობილი სახეები ხშირად გამოირჩევიან თავიანთი უცნაური მოთხოვნებით. ასე, მაგალითად, პოპ-მომღერალი მადონა თუ თქვენს სასტუმროში დაბინავდა, იგი ყოველდღიურად სააბაზანოში უნიტაზის გამოცვლას მოითხოვს. თან ეს ნივთი აუცილებლად უნდა განადგურდეს. მომღერალი თავს იზღვევს, რომ „ვარსკვლავური უნიტაზი“ შემდგომში ვინმემ არ გაყიდოს.

ლეგენდალური ელტონ ჯონი, რომელიც სულ მალე საქართველოს ესტუმრება, საკუთარი სათვალეებისთვის ცალკე საგრიმიორო ოთახს ითხოვს, სადაც ტემპერატურა +16 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს.

ეპატაჟური ლედი გაგა სცენაზე არ გამოვა, თუ მას კულისებში ჟანგბადის ბალიშები არ დაახვედრეს. ამასთანავე, საგრიმიოროში აუცილებლად უნდა დახვდეს თაფლი ძალების აღსადგენად.

ერთ-ერთი ყველაზე რთული ხასიათის ტოპ-მოდელის ნაომი კემბელის აუცილებელი მოთხოვნაა 16 წლის მასაჟისტი გოგონა.

აფრო-ამერიკელი რეპერი „პი დიდი“ კონცერტის ორგანიზატორებს ბევრ მოთხოვნებს უყენებს. მას აუცილებლად „მაიბახის“ ავტომობილით უნდა დახვდნენ. მიართვან 2 ბოთლი ყველაზე ძვირად ღირებული შამპანური, მის ბარში აუცილებლად უნდა იყოს საუკეთესო ვისკი და ღვინო „Pinot Grigio“. ამასთანავე, მის ნომერში უნდა იყოს 204 ცალი პირსახოცი, ათეულობით საპონი და დიდი, თეთრი ყვავილების თაიგული...

რას ვიზამთ, ვარსკვლავები არიან და მათი ახირებები გასათვალისწინებელია...

მოამზადა **რუსუდან ქოგულიამ**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3966; ევრო - 2.7352;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0897;
100 რუბლი - 3.9663; თურქული ლირა - 0.6596;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4214;
1000 სომხური დრამი - 4.9981.

ამინდი 11 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+13	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+18,	დღე	+30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge